# გილოცავთ გიორგობას!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

## სერგეენკოს მოადგილე ვალერი კვარაცხელია გადადგა — რა კავშირი აქვს ბიძინა ივანიშვილს ამასთან



გვ.4

**4 მაისიდან**

**სერია „ქართული საუნჯე“ ბავშვებს**

50 საბავშვო ლექსი

მაგარი ყდა, ფერადი




**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

შაბათი — კვირა, 6 — 7 აპრილი, 2017

№106 (7341)

ფასი: 50 თეთრი

# მამუკა ახვლედიანი პოლიტიკაში მიდის?



გვ.3

## „სამაგალითოდ დამსაჯეს, რათა სხვებმა სასამართლო პრობლემებზე საჯაროდ საუბარი არ გაბედონ“

მე დღეს ვცდილობ, ნაკლები ურთიერთობა მქონდეს პრესასთან. ნამდვილად არ არის ჩემი მოწოდება, რომ ხშირად გამოვჩნდე ეკრანზე. მე მოსამართლე ვიყავი და მოსამართლე ხშირად არ უნდა იჯდეს პირდაპირ ეთერში. თვითონვე იციან კარგად, სასამართლო სისტემაში როგორი ხდება და რა ხდება. მათ კიდევ ერთხელ აჩვენეს რეალური სახე როგორც მოსახლეობას, ისე მოსამართლეებს. ბევრმა იცის სიმართლე, რა არის სასამართლო სისტემაში.

## სოსო ცინცაძე: „პრეზიდენტის ინსტიტუტი გავაუქმოთ, თუ პირდაპირი არჩევის წესი არ იქნება“



გვ.4

## „უკმაყოფილო ხალხი ივანიშვილის შუშის სასახლეს რამდენჯერმე შემოუვლის“

გვ.5




ლევან ჩაჩუა: „მარყუჟებით ახალ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ვერ შეაჩერებენ“

## საპირფარეშოების სკანდალი — 151-ე, 23-ე და სამტრედიის მე-4 სკოლის დირექტორები გათავისუფლდნენ



გვ.6

ISSN 1987-9385



გვ.6

## მივლინებისას პრეზიდენტის სადღეღამისო ნორმის დანამატი 300 დოლარით განისაზღვრა, პრემიერის — 150 დოლარით

## „ტობას“ ინვესტორებისთვის შეთავაზება მიმდინარეობს

ტობავარჩხილი — ვერცხლის ტბა მთის გამჭვირვალე ტბის საერთო სახელია. ეგრისის ქედზე ამ სახელწოდების სულ 6 ტბაა.



გვ.6

By Vakhushti Tchanturi

ლურჯი ნითელი ყვითელი შავი

# ვისია კონსტიტუცია?

ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური თემა საკონსტიტუციო ცვლილებებია, რომელიც განხილვების, ხელისუფლებაში წაკინკლავების, სამთავრობო-არასამთავრობო სექტორისა და არჩევნებზე ყველა ხმის მიმცემის, იმავე „ხმოსანის“ განსახილველი გახდა.

პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტის გააქტიურებამ გააღიზიანა და მისი „დამორჩილებაც“ გადაწყვიტა. მარგველაშვილი პარლამენტმოძულედ გამოაცხადა. კობახიძის და მისი უმრავლესობის აზრით, კონსტიტუცია ისე უნდა მოირგონ, რომ თვით ქვეყნის მთავარსარდალი, პრეზიდენტიც მათ აირჩიონ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ პარლამენტის ტრიბუნიდან ისიც გაისმა, მთავარსარდალი არ გვჭირდებაო.

ერთ პრეზიდენტს როგორღაც მოევლებოდა, მაგრამ პოლიტიკური პარტიები კონსტიტუციაში შესატანმა მეორე, მათთვის უფრო მტკივნეულმა საკითხმა ალაშფოთა.

საქმის არსი შემდეგშია – თუ თქვენ ხმა მიეცით „პატარა“ პარტიას







და მან ვერ გადალახა საარჩევნო ბარიერი, არ დანაღვლიანდეთ, თქვენი ხმა არ დაიკარგება, უმრავლესობას დაემატება, დაახლოებით ამ პათოსით გვამშვიდებდა „ქართული ოცნება“.

ვიღაცას გაახსენდა, რომ არჩევნებში უზენაესი ამომრჩეველია და პარლამენტის თავმჯდომარეს შემოუძახეს, რეფერენდუმი ჩატარდეს და აზრი ხალხს ვკითხოთო.

ერთი შეხედვით, საკითხავი მარტივია, პრეზიდენტი თქვენ უნდა აირჩიოთ თუ საპარლამენტო უმრავლესობამ? არჩევნები როგორი მოგწონთ – მაჟორიტარული თუ პროპორციული?

ამ უკანასკნელის გაფიქრებაც ვერ მოასწრეს, რომ ბობოლა მაჟორიტარების ნაწილმა თავი წამოყო. დმანისისა და წალკის მაჟორიტარმა, კახა ოქრიაშვილმა ხმამაღლა დაიქადნა, რომ „ოცნებას“ მოარჯულებდა.

* * *

პატრიოტთა ალიანსი საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით გამოვიდა.

– ჩვენთვის მიუღებელია ხმების გადანაწილების ის პრინციპი, რაც ასახულია პროექტში. ეს ძალიან ავტორიტარული მიდგომაა, ქვეყანაში პოლიტიკურ კლასს მარხავს და ქვეყნის სტაბილურობას საფრთხეს უქმნის. პოლიტიკურ კლასს ერთადერთ გზას, რევოლუციის გზას უტოვებს, რომლის მომხრე არ ვართ. ამიტომ ვეცდებით, ხელისუფლება დავარწმუნოთ იმაში, რომ აუცილებელია, ბონუსების ის ცვლილება შეიცვალოს, რაც პროექტშია წარმოდგენილი.

ხელისუფლებას მივმართავ, ჩვენ არ გვინდა მტრობა და ისე ნუ გავაკეთებთ, რომ უკანდასახევი გზა აღარ დაგვრჩეს. ჩვენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მივმართავთ რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით.

თუ ცესკო ჩვენ არ მოგვცემს ხელმოწერების შეგროვების საშუალებას, მაისის ბოლოს ჩვენ გავმართავთ გამაფრთხილებელ საპროტესტო აქციას, აქციის დასრულებისთანავე დავიწყებთ მჯდომარე აქციას, ივნისის პირველ რიცხვებში მჯდომარე აქცია გადაიზრდება შიმშილობის აქციაში. – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

## შალვა ნათელაშვილი: „მარგველაშვილი გადადგეს!“



გასულ კვირას შალვა ნათელაშვილმა პრეზიდენტს გადადგომისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ დღეს ეს არის საუკეთესო გამოსავალი.

– ეს ქვეყანა ჩავარდნილია უმძიმეს სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ და კონსტიტუციურ კრიზისში. ოლიგარქმა, რომელმაც მანამდე არჩევნების საყოველთაო გაყალბებით მოახდინა ძალაუფლების სრული უზურპაცია, ამჯერად გადაწყვიტა, ჩვენს ხალხს სამუდამოდ წაართვას პრეზიდენტის არჩევის უფლება და იგი ამ გეგმას შეასრულებს, თუ არ გადაიდგა გადამწყვეტი ნაბიჯები.

პირველ რიგში, მივუწოდებ საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს, ბატონ მარგველაშვილს, გამოაცხადოს გადადგომა, რაც გამოიწვევს ორ თვეში ახალ საპრეზიდენტო სახალხო არჩევნებს, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

## რა ჯდება გიორგი მღებრიშვილის შენახვა



გაზეთ „ქრონიკა პლუსის“ მთავარი რედაქტორის განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრმა დეკლარაციის შევსებისას ქონება დამალა. ამასთან დაკავშირებით ელისო კილაძემ პროკურატურაში განცხადება შეიტანა და გიორგი მღებრიშვილის საქმიანობის შესწავლა მოითხოვა:

– მინისტრს დეკლარაციაში არ აქვს ნაჩვენები ის ქონება, რომელსაც რეალურად ფლობს. საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, ჩვენ ვიპოვეთ შს მინისტრის ორი მიწის ნაკვეთი – 900 კვ.მ. წავკისში და 1.000 კვ.მ. დიღომში, – განაცხადა ელისო კილაძემ.

პროკურატურაში სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი, ზვიად კუპრავაც იმყოფებოდა, რომელმაც საჩივრის შესახებ ისაუბრა.

– საჩივარი შეეხება მინისტრის საცხოვრებელ ბინას, სადაც ის დღეის მდგომარეობით ცხოვრობს ოჯახთან ერთად. კერძოდ, ეს არის პენტჰაუსი ემ კვადრატში, რომელსაც მინისტრი სამინისტროს, ხალხის ფულით ქირაობს 6 ათას ლარზე მეტად. თუ საკუთარი ფულით იხდის ბინის ქირას, მინისტრს 6 ათას ლარამდე აქვს ხელფასი და შეუძლებელია, ამ რაოდენობის ქირა გადაიხადოს, – განაცხადა ზვიად კუპრავამ.

## „ჩვენ უზენაესი სასამართლოს სამარცხვინო თავმჯდომარე გვყავს“

მოძრაობა თავისუფლებისთვის ევროპული საქართველოს წევრმა ხათუნა გოგორიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს სამარცხვინო უწოდა.

**ხათუნა გოგორიშვილი:**

– დღევანდელი უზენაესი სასამართლო და მისი თავმჯდომარე, ქალბატონი გვენეტაძე, არის ყველაზე სამარცხვინო თავმჯდომარე, რომელიც კი ჰყოლია ოდესმე რომელიმე სასამართლოს საქართველოში. დიახ, იმიტომ, რომ მისი ძირითადი საქმიანობა არის მუქარა კონკრეტულ მოსამართლეებზე, რათა მათ ისეთი გადაწყვეტილება მიიღონ, როგორიც დღევანდელ ხელისუფლებას უნდა და ის მხოლოდ ამით არის დაკავებული. ახლა ახალი საქმეც გამოუჩნდა – ვაჭრობა, ჟურნალისტებთან ფასებზე შეთანხმება. ის იყო ერთ-ერთი იმ 9 მოსამართლეთაგან, რომლებმაც რუსთავი 2-თან დაკავშირებით სამარცხვინო გადაწყვეტილება გამოიტანა.



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არ დაინდო ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმაც.

მისი ინფორმაციით, ნინო გვენეტაძე თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანს დაემუქრა.

რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში ზაზა ხატიაშვილმა მამუკა ახვლედიანს ასე მიმართა:

– ნინო გვენეტაძემ შენ ხომ დაგიბარა, ნათქვამი გაქვს ჩემთან, და თითი დაგიქნია, შენ თუ ჭკვიანად არ იქნები, ხომ იცი, ლევან მურუსიძეს რა უნდა შენთვისო და მეც მივემხრობიო და ეს იყო თუ არა, როდესაც შენ ლევან მურუსიძეს უწევდი წინააღმდეგობას, მთელი კორპუსი მოსამართლეებისა გააერთიანე და კანდიდატს ამზადებდი შენ, რომ იუსტიციის საბჭოში შეგეყვანა და ნინო გვენეტაძემ ჩაგიშალა თუ არა ეგ პროცესი და გაძალებდა თუ არა ეკა გასიტაშვილის წარდგენას.

„არჩევანის“ სტუდიაში მყოფმა მამუკა ახვლედიანმა ხატიაშვილის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია დაადასტურა.

* * *

თავად მამუკა ახვლედიანმა კი მმართველი გუნდის რამდენიმე წევრს სასამართლოში უჩივლა.

მათ შორის არიან უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე და საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. ახვლედიანი მორალური ზიანის ანაზღაურებას, 10 ათას ლარს და ბოდიშს ითხოვს.

* * *

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ლევან მურუსიძემ ზაზა ხატიაშვილის განცხადებას ფანტაზიის ნაყოფი უწოდა.

– არავის, არც მამუკა ახვლედიანს თავის დროზე არ მოუმართავს პირადად ჩემთვის და საბჭოსთვის, რომ ვინმე ახორციელებდა ზეწოლას.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე რა განცხადებებს გააკეთებს, მე ამაზე კომენტარს არ ვაკეთებ. იმიტომ არ ვაკეთებ, რომ არ მიმაჩნია სერიოზულად. ეს არის ფანტაზიის ნაყოფი, – განაცხადა ლევან მურუსიძემ.

## გიორგი მამალაძის სასამართლო პროცესი დაიხურა

კვირის ბოლოს გაიმართა ციანიდის საქმის წინასასამართლო სხდომა. პროკურატურამ შუამდგომლობა დააყენა სხდომის დახურვასთან დაკავშირებით. პროკურორების განცხადებით, საქმეში არის საკითხები, რომლებიც ძალიან ცუდად იმოქმედებს საზოგადოებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბადრი შონიამ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და სხდომა დახურა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ფაქტი მიუღებელი აღმოჩნდა ბრალდებულის ადვოკატებისთვის. დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა პროკურორის შუამდგომლობას პოლიტიკური განცხადება უწოდა.

– შუამდგომლობაში ზოგადი საუბარი იყო საპატრიარქოს უსაფრთხოებაზე. მინდა გითხრათ, რომ საფრთხეს წარმოადგენს თავად ბრალი და არა ბრალდებული, – განაცხადა ადვოკატმა.

მისი თქმით, საქმეში არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რომელიც პროცესის დახურვის წინაპირობა უნდა იყოს. ბრალდებულის კიდევ ერთმა ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ იმ ვიდეომტკიცებულებების შესახებ ისაუბრა, რომლებიც სხდომის დახურვის ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

– პროკურორები ამბობდნენ, რომ ვიდეოჩანაწერების საჯარო სხდომაზე გამოკვლევით




შეიძლება შეილახოს საპატრიარქოს იმიჯი. ამ ვიდეოების გავრცელებით არ შეილახა საპატრიარქოს იმიჯი? საპატრიარქოს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფიც წარმოადგენს და შესაბამისად, ამაზე თავიდანვე უნდა ეზრუნა პროკურატურას, – განაცხადა ფანცულაიამ.

აღნიშნულ საქმეზე მოწმედ დაიკითხა პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსი სოსო ოხანაშვილი, რომელმაც საქართველო უკვე დატოვა. მისი მეუღლის განცხადებით, ოხანაშვილი გერმანიაში წავიდა სამუშაოდ და საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს. პროკურატურის განცხადებით, მას ქვეყნის დატოვებით კანონი არ დაურღვევია.

შეგახსენებთ, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს.

## შემოვიდნენ თუ არა „ღამის მგლები“ საქართველოში?

სოციალურ ქსელში „ღამის მგლებთან“ დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა.

შსს-ს განცხადებით, ბაიკერების, „ღამის მგლების“, 50-კაციან ჯგუფს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთაზე უარი ეთქვა.

– გადამოწმებული ინფორმაციის საფუძველზე, განვმარტავთ, რომ აპრილში, დაანონსებულ ვიზიტამდე და პერფორმანსამდე, „ღამის მგლების“ ჯგუფისგან დამოუკიდებლად, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, ტურისტული მიზნით, სხვა ქვეყნების ბაიკერებთან ერთად,



ამოსაცნობი ატრიბუტიკის გარეშე და სათანადო დოკუმენტაციით, გადმოკვეთა ერთმა პირმა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, „ღამის მგლების“ ჯგუფის წევრია.

ყოველდღიურად, მშვიდობიანი, ტურისტული ან ტრანზიტული მიზნებით, ათობით ბაიკერი კვეთს ქვეყნის საზღვარს. შესაბამისად, კონკრეტული მომენტისთვის შსს-ს არ გააჩნდა საფუძველი აღნიშნული პირის საქართველოში არშემოშვებისთვის, – ვკითხულობთ შსს-ს განცხადებაში.

## რა ვერ გაიყვეს „ქართულმა ოცნებამ“ და უჩა ნანუაშვილმა

სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა მმართველი გუნდის განცხადებები სახალხო დამცველის აპარატის დისკრედიტაციად შეაფასა.

– ნიშნები სახალხო დამცველის წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანიის სახეზეა. ეს არ არის ახალი დაწყებული პროცესი. არაერთი განცხადება მოვისმინეთ მათ შორის პარლამენტარებისგან, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან და, სამწუხაროდ, ეს უკვე ტენდენციის სახით ჩამოყალიბდა, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობისთვის კი მიუღებელია სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში მოყვანილი ფაქტები:

– არის გარკვეული თემები, სადაც კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით ბატონ უჩას და მის წარმომადგენლებს, მათ შორის რუსთავი 2-ის თემასთან დაკავშირებით. არ იყო მითითებული, რომ რამე დარღვევას ჰქონდა ადგილი, უბრალოდ გარკვეული კითხვის ნიშნები იყო გამოთქმული მაგრამ ამას კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით იმიტომ, რომ ვფიქრობთ, რომ ეს არის სასამართლოს გადასაწყვეტი, – განაცხადა სოფო კილაძემ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა ახვლედიანი პოლიტიკაში მიდის?

## „სამაგალითოდ დამსაჯეს, რათა სხვებმა სასამართლო პრობლემებზე საჯაროდ საუბარი არ გაბედონ“

ნონა ცაბაძე

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი რამდენიმე პოლიტიკოსს ცილისწამების ბრალდებით სასამართლოში უჩივის. თუ რატომ შეიტანა ახვლედიანმა საჩივარი და რას მოითხოვს, ამის შესახებ ის „ახალ თაობას" ესაუბრა.**

***— ბატონო მამუკა, რატომ მიმართეთ სასამართლოს? ვის და რატომ უჩივით?***

— პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის გავრცელებისთვის, რომელიც რამდენიმე თვის წინ იყო. სწორედ ამ საკითხებზე შევიტანე სასამართლოში სარჩელი, მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის.

***— კონკრეტულად ვის უჩივით?***

— უკანონო ქონებასთან დაკავშირებით გაავრცელეს ინფორმაციები. სარჩელი შეტანილია წულუკიანის, მდინარაძის, ბესელიას, თალაკვაძის, ძიძიგურის, მჟავანაძისა და ლევან გოგიჩაიშვილის წინააღმდეგ.

***— საჩივრით მიმართეთ იმ სასამართლოს, რომლის თავმჯდომარეც ერთ დროს იყავით და საიდანაც ასე სკანდალურად წამოხვედით. რამდენად გაქვთ იმედი, რომ თქვენს საჩივარს დააკმაყოფილებენ?***

— რაც წინა პროცესზე ჩემს გადაყენებასთან დაკავშირებით მოხდა სასამართლოში, არ დააკმაყოფილეს ჩემი სარჩელი და მათი მიდგომა ჩემთვის გასაგებია. შესაბამისად, მეც ამ ტიპის ურთიერთობების აზრს ვერ ვხედავ. ამიტომ გადავწყვიტე, რომ აღარ ვიურთიერთო პრესასთან. არ მინდა მუდმივად სკანდალური მამუკა ახვლედიანის გამოჩენა ტელევიზიებით. თუ ვინმეს ოდესმე მოუნდება ნორმალური სასამართლო, მზად ვარ, დავეხმარო. თუ რჩევა დაგჭირდებათ, ჩემს აზრს გაგიზიარებთ, თუმცა ჩემი მხრიდან სხვა ტიპის აქტივობა აღარ იქნება, ვეცდები, ნაკლებად გამოვჩნდე.

***— აღარ აპირებთ ბრძოლას?***

— ძალიან დამღალა ამ ყველაფერმა. მე განცხადება გავაკეთე, რომ პრობლემებია სასამართლოში და იმის ნაცვლად, რომ ეს გამოსწორებულიყო, მხოლოდ ჩემზე გადმოიტანეს იერიში.

***— თქვენს განცხადებებს, რომ მოსამართლეებზე ზეწოლა ხორციელდება, ცილისწამება უწოდეს, რომ თქვენ განაწყენებულის პოზიციიდან აკეთებთ ასეთ განცხადებებს. ასეა თუ მართლაც აქვს ადგილი ზეწოლას მოსამართლეებზე?***

— გაბრაზებული რომ ვიყო, კიდევ უფრო მეტს ვიტყოდი. მე დღეს ვცდილობ, ნაკლები ურთიერთობა მქონდეს პრესასთან. ნამდვილად არ არის ჩემი მოწოდება, რომ ხშირად გამოვჩნდე ეკრანზე. მე მოსამართლე ვიყავი და მოსამართლე ხშირად არ უნდა იჯდეს პირდაპირ ეთერში. დანარჩენი მათ ნამუსზე იყოს. თვითონვე იციან კარგად, სასამართლო სისტემაში როგორ ხდება და რა ხდება. მათ კიდევ ერთხელ აჩვენეს რეალური სახე როგორც მოსახლეობას, ისე მოსამართლეებს. ბევრმა იცის სიმართლე, რა არის სასამართლო სისტემაში.

***— გვესმის შეფასებები, რომ წინა წლებთან შედარებაც კი არ შეიძლება, ისეთი თავისუფალია სასამართლო. თქვენ ასე არ ფიქრობთ?***

— რაღაცებში შეიძლება გამოსწორდა, მაგრამ, არის საკითხები, სადაც ძალიან გაუარესებულია სიტუაცია. იმავე მენეჯმენტის პირობებში ვინც მართავდა სასამართლოს, ისევ ის მართავს და, როგორ ფიქრობთ, რამე შეიცვლებოდა?! არაფერი შეცვლილა, პირიქით, კიდევ უფრო მეტად ჩაიგდეს ძალაუფლება ხელში და ხედავთ კიდეც, რას და როგორ აკეთებენ.

***— რას აკეთებენ?***

— მე ნუ დამელაპარაკება ნურავინ თავისუფალ სასამართლოზე. ზუსტად ვიცი, ჩემთან დაკავშირებით რაც მოხდა, როგორ მოხდა თუნდაც ჩემი გადაყენება. რა სასამართლოზე უნდა ვისაუბრო, როცა პოზიციის გამჟღავნების საშუალებაც კი არ მომცა დღევანდელმა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ. ერთ დღეში დაამთავრა პროცესი, ისე, რომ ჩემი აზრი არც უკითხავს, მაშინ როდესაც ბიულეტენზე ვიყავი და ფიზიკურადაც კი არ ვიყავი სამსახურში.

ეს ერთი მაგალითიც საკმარისია იმისთვის, რომ ვთქვათ, რა ტიპის სასამართლო გვაქვს დღეს. მთავარია, ჰქონდეთ სურვილი ნებისმიერი სურვილის მისაღებად და აუცილებლად მიიღებენ. აი, ეს არის დღეს მათი პოზიცია და ამას აკეთებენ და ამჟღავნებენ კიდეც. ამიერიდან მე ამ ტიპის აქტივობას ვწყვეტ, რადგან ამას აზრი არ აქვს! ეს ცალ კარში თამაშს ჰგავს. ისევ იმ ადამიანებს უჩივის იქ, სადაც თვითონ არის არბიტრიც და მათი მოედანია.

***— მაშინ რატომ უჩივლეთ?***

— ამ ყველაფერს წლები სჭირდება. ეს გაივლის პროცედურებს, წავა სტრასბურშიც და თავის შედეგს აუცილებლად დააყენებს. ამის შემდეგ არ ვიცი, რა როგორ იქნება, მაგრამ ამ ტიპის ურთიერთობის გაგრძელებას ნამდვილად არ აქვს აზრი! აქედან ან პოლიტიკაში უნდა წავხვიდე, ან გაჩუმდე და სახლში დავჯდე.

***— პოლიტიკაში წახვალთ?***

— როცა ხედავ, რომ არაფერი გამოდის, სასამართლო ცვლილებას არ აპირებს და ეს პოლიტიკოსების მხრიდანაც მხარდაჭერილია, მაშინ უნდა შეიცვალოს ის პოლიტიკაც, პოლიტიკოსებიც, რომლებიც ამ ყველაფერს მხარს უჭერენ.



**„პოლიტიკოსების წინააღმდეგ ჩემი საჩივრის განხილვა სასამართლოს ერთ დღეში შეუძლია“**

***— ანუ აანონსებთ, რომ პოლიტიკაში მიდიხართ?***

— არ გამოვრიცხავ. ამ ეტაპზე არანაირი წინასწარი გეგმები არ მაქვს, მაგრამ ამას არ გამოვრიცხავ. მე მყავს ოჯახი, მყავს ოთხი შვილი და მინდა, მომავალ თაობას იმავე ტიპის პრობლემები არ დახვდეს, რაც 25 წელია საქართველოშია. ამისთვის თუ ჩემი პოლიტიკაში წასვლა იქნება საჭირო, არც ამაზე ვიტყვი უარს.

***— ამბობენ, რომ მოსამართლის შეურაცხყოფა დღეს დასჯადი უნდა იყოს. თქვენ რამდენად იზიარებთ ამ ინიციატივას?***

— ჩემი აზრით, ეს სრული აბსურდია და არც არავინ აპირებს ამ კანონის მიღებას. ეს უფრო საზოგადოების შეშინების მცდელობას ჰგავს, რომ ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია და ცოტა წყნარად იყავით. ჩვენი ძალაუფლება განუსაზღვრელია — დაახლოებით ასეთი ტიპის განცხადებას ჰგავს.

მეც ზუსტად იმ ტიპის დარღვევებზე შევიტანე საჩივარი, რაზეც თავად საუბრობენ დღეს. დაველოდოთ და ყველამ ერთად ვნახოთ, რა ტიპის რეაგირებას გააკეთებს ამაზე სასამართლო. მეც მოსამართლე ვიყავი და სწორედ ჩემი მოსამართლეობის პერიოდს ეხება პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის გავრცელება. განიხილოს სასამართლომ და გამოჩნდება, ვინ არის მართალი და მტყუანი. სულ ერთ დღეში განსახილველია, ნამდვილად არ სჭირდება დიდი დრო. ნაკლები იმედი მაქვს, რომ ამ კუთხით რაიმე რეაგირება იქნება. სანამ სამართალი არ გაიმართება წელში, მანამდე ქვეყანა ფეხზე ვერ დადგება.

***— იყო დრო, კოლეგები იყავით თქვენ და ლევან მურუსიძე, ერთი ხელისუფლების პერიოდში გიწევდათ მოსამართლეობა, დღეს კი სწორედ მურუსიძემ გამოგიშვათ საქალაქო სასამართლოდან. რატომ გაიყარა თქვენი გზები?***

— მე არასოდეს მქონია მასთან ცუდი ურთიერთობა, მაგრამ საქმე საქმეა. თუ სამართალი გვინდა, ეს პირადი ურთიერთობებით არ გამოდის. მე წინა ხელისუფლების პერიოდის სასამართლოშიც ვიყავი და, თუ მაშინაც ვინმე ავიწროებდა სასამართლოს, მართალია, მაშინ მურუსიძე არ იყო, მაგრამ ესენი ცერცვაძე და ჩინჩალაძე ნამდვილად იყვნენ. სწორედ იგივე ადამიანები აგრძელებენ ყოველივე ამას. ახლა თქვენ განსაჯეთ, თავისუფალია თუ არა სასამართლო.

***— მათ შეძლეს და გამონახეს ამ ხელისუფლებასთან საერთო ენა და თქვენ ეს ვერ შეძელით?***

— მე არავისთან მქონია ცუდი ურთიერთობა და არც არავისთან შევსულვარ კაბინეტში კარგი თუ ცუდი ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად. სასამართლო ცალკე შტოა და ამას თავისი სახე უნდა ჰქონდეს.

***— თუმცა იმ სკანდალური ფარული ჩანაწერების შედეგად მოხდა ის, რაც მოხდა თქვენთან დაკავშირებით.***

— გასაგებია და სწორედ აქედანაც ჩანს, ვის ინტერესში იყო ეს ყველაფერი, როცა ადამიანს 20-წლიანი კარიერის განმავლობაში სხვას ვერაფერს გამოუძებნიან, მხოლოდ მოგონილი ისტორიებითა და ჭორების გავრცელებით ცდილობენ მისი ავტორიტეტის შელახვასა და სასამართლოდან ჩამოშორებას. თქვენ წარმოიდგინეთ, რა გამიკეთეს მე, სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელსაც კავშირები ჰქონდა როგორც არასამთავრობოებთან, ისე ტელევიზიებთან, შემეძლო, ეს ამბავი საზოგადოების ყურამდე მიმეტანა და, თქვენ წარმოიდგინეთ, რა უნდა ქნას რიგითმა მოსამართლემ, რომელიც შეიძლება იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს! ალბათ, ვერც ვერავინ გაიგებთ, ისე დამთავრდება მისი ისტორია სასამართლოში! ეს იყო ჩემი სამაგალითოდ დასჯა, რათა სხვებმა სასამართლო პრობლემებზე საჯაროდ საუბარი არ გაბედონ.

# მამუკა მდინარაძე: „პარლამენტი ქუთაისიდან არ მიდის“



— ქუთაისელებს არ უნდა დარჩეთ შეგრძნება, რომ ქუთაისიდან პარლამენტი ვინმეს სადმე გადააქვს.

ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ ქუთაისში კონსტიტუციის ცვლილებებთან დაკავშირებით საყოველთაო-სახალხო განხილვის დაწყებამდე განაცხადა.

მდინარაძის თქმით, ქუთაისი საპარლამენტო ქალაქია.

— პარლამენტი ქუთაისიდან არსად არ მიდის. გამომდინარე იქიდან, რომ ქუთაისში არის პარლამენტის შენობა, ქუთაისი არის საპარლამენტო ქალაქიც. საქართველოს კონსტიტუციის იმ პროექტში, რომელიც წარვუდგინეთ საზოგადოებას, არ წერია პარლამენტის ადგილსამყოფელი, ისევე, როგორც სხვა ინსტიტუტების.

არ არის ძალიან მნიშვნელოვანი, ეწერება თუ არა კონსტიტუციაში პარლამენტის ადგილსამყოფელი. ქუთაისელებს არ უნდა დარჩეთ შეგრძნება, რომ ქუთაისიდან პარლამენტი ვინმეს სადმე გადააქვს. რეალურად ყოველგვარი უტრირების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსად მიდის პარლამენტი და კონსტიტუციიდან სიტყვის ამოღება არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ხვალ თბილისში უნდა გაგრძელდეს საპარლამენტო მუშაობა, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

# რაზე ესაუბრა მიტროპოლიტ დიმიტრის პრემიერი კვირიკაშვილი?

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა არ უპასუხა ნეტგაზეთის შეკითხვას, თუ რაზე ესაუბრა ის მიტროპოლიტ დიმიტრი შიოლაშვილს ბათუმში.

ეს შეკითხვა „ნეტგაზეთმა“ პრემიერს მთავრობის ადმინისტრაციაში დაუსვა ევროკომისარ იოჰანეს ჰანთან ერთად გაკეთებული განცხადებების შემდეგ.

19 აპრილს, ღამის 11 საათზე, დასრულდა შეხვედრა ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის რეზიდენციაში მიტროპოლიტ დიმიტრი შიოლაშვილს, საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, ზურაბ პატარაძეს შორის.

გიორგი კვირიკაშვილმა რეზიდენცია კომენტარის გარეშე დატოვა. იგი და ზურაბ პატარაძე მიტროპოლიტმა რეზიდენციის კარამდე მიაცილა.

რა თემაზე შედგა შეხვედრა პრემიერ-მინისტრსა და მიტროპოლიტ დიმიტრის შორის? აჭარის მთავრობის პრესსამსახურში გვითხრეს, რომ პრემიერ-მინისტრი 19 აპრილს აჭარაში იყო და სხვა შეხვედრებთან ერთად, ეს შეხვედრაც წინასწარ იყო დაგეგმილი. კონკრეტულად რა იყო შეხვედრის მიზანი, პრესსამსახურში არ დააკონკრეტეს.

5 მაისს დაიწყო ციანიდის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამ საქმეზე მოწმის სტატუსით დაკითხულია თავად მიტროპოლიტი დიმიტრი, მისი სიძე — სოსო ოხანაშვილი, რომელიც პატრიარქის დაცვის უფროსი იყო და დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავების შემდეგ გადადგა ამ პოსტიდან, ხოლო რამდენიმე დღის წინ დატოვა საქართველოც და გერმანიაში იმყოფება.



დეკანოზ მამალაძეს პატრიარქის მდივან-რეფერენტის, შორენა თეთრუაშვილის ანგარებით მკვლელობის მომზადებაში ედება ბრალი. დეკანოზი მამალაძე ბათუმის ეპარქიაში მსახურობდა, სადაც დიმიტრი მიტროპოლიტია და უმაღლესი მღვდელმსახური.

ამას გარდა, ცალკე წარმოებად აქვს პროკურატურას გამოყოფილი საქმე, რომელიც ეხება საპატრიარქოს მაღალი რანგის პირების ჯგუფის მიერ შესაძლო მკვლელობის დაგეგმვას.

ნეტგაზეთი

# ირაკლი კობახიძე: „არც დღეს ექვემდებარება პრეზიდენტს ჯარი და არც ხვალ დაექვემდებარება“

— არც დღეს არ ექვემდებარება პრეზიდენტს სამხედრო ძალები და არც ხვალ არ დაექვემდებარება.

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ქუთაისში, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაზე დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

— უმაღლესი მთავარსარდალი დღესაც ჰყავს ქვეყანას და ხვალაც ეყოლება. ეს იქნება საქართველოს პრეზიდენტი,



თუმცა არავინ მოგატყუოთ — არც დღეს ექვემდებარება პრეზიდენტს სამხედრო ძალები და არც ხვალ დაექვემდებარება. ამაშია პატარა ტყუილი, რომელსაც გაპარებენ. უმაღლესი მთავარსარდალი არ ნიშნავს იმას, რომ მას სამხედრო ძალები ექვემდებარება, არც დღეს ექვემდებარება პრეზიდენტს სამხედრო ძალები და არც ხვალ დაექვემდებარება, — განაცხადა კობახიძემ.

# სოსო ცინცაძე: „პრეზიდენტის ინსტიტუტი გავაუქმოთ, თუ პირდაპირი არჩევის წესი არ იქნება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებების საერთო-სახალხო განხილვაზე საუბრობს.**



„საარჩევნო სისტემის ბედი ვენეციის კომისიაზეა დამოკიდებული“

***– ბატონო სოსო, კონსტიტუციის ახალი პროექტის განხილვები დაიწყო, განხილვებში პირადად პრეზიდენტიც ჩაერთვება, ეს რა კორექტივებს შეიტანს პროცესში?***

– პრეზიდენტის ჩართვამ შეიძლება საინტერესო გახადოს ეს პროცესი და მართლაც დაამსგავსოს განხილვას, ვინაიდან პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე ერთ აზრზე არ არიან და მათ განსხვავებული ხედვები აქვთ კონსტიტუციის მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. ამდენად, მე მოლოდინი მაქვს, რომ რეალური განხილვების მოწმენი ვიქნებით.

თუმცა, არ ვიცი, როგორ გროვდება აუდიტორია, ინფორმაცია არ მაქვს. წინა საკონსტიტუციო კომისიის წევრი ვიყავი და ვიცი, როგორც გროვდებოდა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აგვარებდა ამ საკითხს, დარბაზში მაქსიმუმ 20-30 ადამიანი იკრიბებოდა. მაშინ ამას ერქვა განხილვა. ახლა როგორ ხდება, არ ვიცი, ყველა მსურველს აქვს მისვლის შესაძლებლობა თუ მხოლოდ სავალდებულო ადამიანები მიდიან, რომლებიც ორი საათი იქნებიან დარბაზში.

***– პარალელურ პროცესს მართავენ არასაპარლამენტო ოპოზიცია და ნაციონალური მოძრაობა. ამ პროცესს როგორ აფასებთ?***

– ეს მართლაც ძალიან საინტერესო პროცესია და გეტყვით, რატომაც. ვინაიდან ოპოზიციას, მით უფრო არასაპარლამენტო ოპოზიციას, არ აქვს არავითარი ადმინისტრაციული რესურსი, არანაირი სხვა შესაძლებლობა, ცხადია, რომ ოპოზიცია იძულებით ვერავის მიიყვანს, ეს ფაქტი არასაპარლამენტო ოპოზიციას პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს.

ეს არის მორალური პრივილეგია, ფაქტიური, ადმინისტრაციული პრივილეგია კი ხელისუფლების მხარეს არის. ოპოზიციის შეკრებაზე მხოლოდ დაინტერესებული ადამიანები მიდიან. მამუკა კაციტაძე დაიმუქრა კიდეც, ხელისუფლების განხილვებზე ყველა სკამს დავითვლით და მერე ჩვენი დაითვალონო.

ეს მართლაც საინტერესოს ხდის პროცესს. ვინაიდან საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი არ არის პლებისციტზე გატანილი, ეს ამ პროცესს მორალურ ბერკეტს სძენს.

***– ოპოზიციას ეს ბერკეტი, ერთგვარი მორალური ზეწოლა რამე შანსს აძლევს, რომ რაღაც შეაცვლევინოს ხელისუფლებას?***

– რა თქმა უნდა, ეს მორალური ბერკეტი, თუ ოპოზიცია მოწოდების სიმაღლეზე დადგება, შეიძლება იურიდიულ ბერკეტად იქცეს.

***– როგორ?***

– ოპოზიციის ერთი ნაწილი ასევე აგროვებს ხელმოწერებს, მეორე ნაწილი ღია ცის ქვეშ, ქუჩაში ეპატიჟება ხალხს განხილვაზე, ეს ყველაფერი შეიძლება ოპოზიციამ იურიდიულ არგუმენტად აქციოს. ეს მართლაც საინტერესო ფაქტია. რა თქმა უნდა, ეს არის დემოკრატიის ნაწილი, როდესაც ოპოზიცია ამ ხერხს მიმართავს და თუ ხელისუფლებაც წავა გარკვეულ დათმობაზე, იტყვის, ჩვენ დავინახეთ ნება ხალხისა, თუნდაც გარკვეული ნაწილის, ეს კიდევ უფრო მეტი დემოკრატია იქნება.

ეს არის პროცესი და მე ამ პროცესის საინტერესო განვითარებას ველოდები, რადგან კონსტიტუციის პროექტის პარალელური განხილვა, ნამდვილად არის სიახლე.

***– უმრავლესობის ლიდერი ამბობს, რომ ოპოზიციას დაქსაქსული პარლამენტი სურს და არა ძლიერი პარლამენტი.***

– ძალიან სახიფათოა მსგავსი ტერმინების გამოყენება. ეს ერთგვარი „სატოპკეა“ მისი ოპონენტებისთვის. რას ნიშნავს 21-ე საუკუნეში, თანამედროვე, დემოკრატიულ სამყაროში, დაქსაქსული და ერთიანი, შეკრული პარლამენტი?! კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე შეკრული პარლამენტი საბჭოთა პარლამენტი იყო, სადაც აკადემიკოსი, მწველავი და მეჩაიე სრულიად ერთ, მტკიცე იდეოლოგიაზე და ერთ აზრზე იდგნენ.

დღეს ცივილიზებული მსოფლიოს თითქმის ყველა პარლამენტი დაქსაქსულია, აზრთა მრავალფეროვნებაა, პლურალიზმია. როგორ შეიძლება ყველა ერთ აზრზე იდგეს?! მაგალითად, ორი დღის წინ, ამერიკის წარმომადგენელთა პალატამ ობამას კანონი გააუქმა და ტრამპის შესწორება მიიღო. იცით, რა მოხდა? რესპუბლიკური პარტია ორად გაიყო. კანონის მისაღებად 216 ხმა იყო საჭირო და 217 ხმით, ერთი ხმით მიიღეს. დემოკრატიულ ქვეყნებში მმართველი პარტიაც კი არ არის ერთ მუშტად შეკრული, როგორც იტყვიან, მონოლითური.

***– მაგრამ ეს არ არის ტრაგედია.***

– რა თქმა უნდა, პირიქით, ეს არის დემოკრატია. აზრთა პლურალიზმი არის დემოკრატიის პირველი მზიდი კონსტრუქცია, რა თქმა უნდა, თუ ჩვენ დემოკრატია გვინდა.

***– ხელისუფლების მხრიდან დათმობას ელოდებით?***

– ხელისუფლება მოიქცა ისე, როგორც დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე ერთი სახელმწიფო, როდესაც მოსალაპარაკებლად მიდის მეორე სახელმწიფოსთან. ე.წ. წითელი ხაზები არის ერთი, ორი საკითხი, რომელსაც ხელისუფლება არ დათმობს და არის 15-20 სარეზერვო საკითხი, რომელზეც იტყვის, დავთმობ.

ეს ჩვეულებრივი ხერხია და ჯერ კიდევ კეისრიდან მოდის, რომელსაც ის გალებთან ომის დროს იყენებდა. „ოცნებას“ შეუძლია თქვას, რომ ბევრი დათმეს, გამოდის კიდეც ძიძიგური და ამბობს, რომ მათ 80% დათმეს, მაგრამ – სულ ჩვენ ხომ არ დავთმობთ – ეს გზავნილია მთელ ამ ტექსტში. რა იყო ეს 80%? რა თქმა უნდა, ბალასტი, რომელსაც ყველა დიპლომატი იყენებს მოლაპარაკებაზე.

დღეს „ქართული ოცნებისთვის“ ორი საკითხი არის მთავარი, რასაც არ დათმობს: ერთი, საარჩევნო სისტემა, როდესაც ყველაფერი გამარჯვებულს მიაქვს და მეორე, პრეზიდენტის არჩევის წესი.

***– აქ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ?***

– საარჩევნო მოდელი, როდესაც ყველა დაკარგული ხმა გამარჯვებულს მიაქვს, რთულად დასაცავი იქნება, რადგან ეს შეიძლება სრულიად მიუღებელი აღმოჩნდეს ვენეციის კომისიისთვის, არ გამოვრიცხავ, რომ ჯანი ბუკიკიომ ეს არასამართლიან საარჩევნო მოდელად ჩათვალოს და პრეტენზიებიც გამოთქვას. ვნახოთ, როგორი იქნება ვენეციის კომისიის დასკვნა კონკრეტულად ამ საკითხზე, არ გამოვრიცხავ გარკვეულ დათმობას ამ საკითხზე.

რაც შეეხება პრეზიდენტის არჩევის წესს, აქ ევროპელები ვერ მიხვდებიან, რა პრეტენზია შეიძლება ვინმეს ჰქონდეს. ამ შემთხვევაში საქართველოში უნდა ცხოვრობდე და ქართულ რეალობას უნდა იცნობდე, რომ მიხვდე, რა მნიშვნელობა აქვს პრეზიდენტის საერთო-სახალხო არჩევნებს.

პირდაპირი გზით არჩეულ პრეზიდენტს მორალური უფლება აქვს, ეს არის ხალხის პირდაპირი ლეგიტიმაცია და ამ დროს მისი სიტყვის იგნორირება მასზე მეტი სამართლებრივი ძალაუფლების მქონე პირს არ შეუძლია. ამიტომ არის ეს საკითხი პრინციპული მნიშვნელობის, რაც მშვენივრად ესმით „ოცნებაში“.

ჩემი პოზიციაა, თუ პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი არ გვეყოლება, მაშინ საერთოდ გავაუქმოთ პრეზიდენტის ინსტიტუტი, ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში არ ჰყავთ პრეზიდენტი და ამით არაფერი შავდება.

## საპირფარეშოების სკანდალი — 151-ე, 23-ე და სამტრედიის მე-4 სკოლის დირექტორები გათავისუფლდნენ



საპირფარეშოს ჰიგიენასთან და სხვა დარღვევებთან დაკავშირებით თბილისის 151-ე, 23-ე და სამტრედიის მე-4 სკოლის დირექტორები გათავისუფლდნენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, უწყების მონიტორინგის სამსახურისა და შიდა აუდიტის დეპარტამენტის შემოწმების შედეგად, რიგ სკოლებში სხვა დარღვევებთან ერთად, გამოვლინდა სველ წერტილებთან, კერძოდ, საპირფარეშოს ჰიგიენასთან დაკავშირებული პრობლემები. შედეგად, გათავისუფლდნენ თბილისის 151-ე, 23-ე და სამტრედიის მე-4 სკოლის დირექტორები.

საპირფარეშოების ჰიგიენასთან დაკავშირებით, გაფრთხილება მიეცა მარნეულის მე-3, მარნეულის სოფელ ჯანდარის და ყაზბეგის სოფელ არშას სკოლებს.

მითითება მიეცა მარნეულის სოფელ წერეთლის სკოლას.

* * *

– ხუთსაც გავათავისუფლებთ და ოცდახუთსაც, თუ საქმეს დასჭირდა.

ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ სკოლის დირექტორების საპირფარეშოების მოუწესრიგებლობის გამო გათავისუფლების საკითხის კომენტირებისას განაცხადა.

მინისტრმა არ დააკონკრეტა, რომელი სკოლების დირექტორები გათავისუფლდნენ.

– ჩვენ ვამბობთ, რომ ბავშვის ჯანმრთელობასთან ხუმრობა არ შეიძლება. თუ რომელი დირექტორები გათავისუფლდნენ, ამის დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

მისივე განცხადებით, დირექტორებმა სისუფთავესთან დაკავშირებით ყურადღება არ უნდა მოადუნონ, ხოლო თუ სახსრები არ აქვთ, სამინისტრო დაეხმარება.

ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებით, სისუფთავის კუთხით მდგომარეობა ასობით სკოლაში გაუმჯობესდა.

## ოსიაურში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სახურავი ჩამოინგრა



ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ვეზირიშვილების სასახლის სახურავი ჩამოინგრა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ნგრევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. აღსანიშნავია, რომ ვეზირიშვილების სასახლის გვერდით სკოლა მდებარეობს და ავარიული შენობა მოსწავლეებს საფრთხეს წლების განმავლობაში უქმნის.

რამდენიმე წლის წინ მისი დემონტაჟი იყო გადაწყვეტილი, მაგრამ ხაშურელი ახალგაზრდების აქტიური ჩართულობით ეს პროცესი შეჩერდა და შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსიც მიენიჭა, თუმცა მისი რეაბილიტაცია არ დაწყებულა.

შენობაში საბჭოთა პერიოდში სკოლა იყო განთავსებული, 70-იან წლებში სკოლა ახალ შენობაში გადავიდა და ეს სასახლე მას შემდეგ ნელ-ნელა ინგრევა.

## სერგეენკოს მოადგილე ვალერი კვარაცხელია გადადგა — რა კავშირი აქვს ბიძინა ივანიშვილს ამასთან

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია კერძო ბიზნესს უბრუნდება.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან და პრემიერ-მინისტრთან შეთანხმების შემდეგ, მან დღეს, 5 მაისს, პოსტი დატოვა.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ვალერი კვარაცხელიას 2014 წლიდან ეკავა.

მის გადადგომამდე „ოლმედიამ“ მოვლენების ასეთი განვითარება იწინასწარმეტყველა

კერძოდ, გამოქვეყნებულ მასალაში „ოლმედიას“ წყარო ამბობს, რომ ვალერი კვარაცხელიას თანამდებობიდან წასვლა თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტს რომან ფიფიასა და ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს შორის აზო- [illegible]



უხმაურებელ დავას უკავშირდება.

იმის გამო, რომ ვალერი კვარაცხელია და რომან ფიფია მძახლები არიან (ვალერი კვარაცხელიას ქალიშვილი რომან ფიფიას რძალია), ბიძინა ივანიშვილმა არ ისურვა, რომ კვარაცხელია სახელმწიფო სტრუქტურაში დარჩენილიყო.

თანამდებობიდან ვალერი კვარაცხელიას წასვლამ, შესაძლოა, პრობლემები შეუქმნას წალენჯიხის გამგებელს ბესო ფარცვანიასაც, რომელიც ვალერი კვარაცხელიას დისშვილია. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ბეჟან ფარცვანია, რომელიც ნეგატიურ ასპექტში ფიგურირებს „ფოტოგრაფების საქმეში“, ასევე, ვალერი კვარაცხელიას დისშვილი და წალენჯიხის გამგებლის ძმაა.

– ოფიციალურად, ვალერი კვარაცხელიას არ გადააყენებენ, რომ დაპირისპირება დამალონ. სავარაუდოდ, ის თვითონ გადადგება და იტყვის, რომ კერძო ბიზნესში აპირებს წასვლას, – თქვა გუშინ „ოლმედიასთან“ საუბარში ინკოგნიტო წყარომ.

## ირაკლი ღლონტი: „ქართულ ოცნებაში“ არის კომუნიზმი“



პოლიტიკური პარტია „რეფორმატორების“ თავმჯდომარის ირაკლი ღლონტის განცხადებით, ერთ მხარეს თავისუფალი ადამიანები, მეორე მხარეს კი შენობებში ჩაკეტილი ხელისუფლებაა.

– მე მინდა შედარება გავაკეთო კომუნიზმსა და თანამედროვეობას შორის.

თანამედროვე, თავისუფალი ხალხი ვიკრიბებით ბიუროკრატების შენობა-ნაგებობის გარეშე, ერთმანეთს ვხვდებით, ვმსჯელობთ, ვცვლით მოსაზრებებს. მეორე მხარის არის მარტო დარჩენილი ხელისუფლება, რომელიც თეატრებს კეტავს, შენობებში იმალება, თავის ელექტორატს, გამგეობის თანამშრომლებს, იძულებით მიყვანილ ხალხს სთავაზობს და ძალით ტენის კონსტიტუციის იმ რედაქციას, რომელიც ჩვენი შეფასებით ამორალური და ანტიკონსტიტუციურია.

„ქართულ ოცნებაში“ არის კომუნიზმი, – აცხადებს ირაკლი ღლონტმა.

## ჯავახიშვილის ქუჩაზე მკვლელობა წარსულში მომხდარ კონფლიქტს უკავშირდება

შსს-მ ჯავახიშვილის ქუჩაზე მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში ნასამართლევი სამი პირი: 1995 წელს დაბადებული ნ.მ. და 1991 წელს დაბადებული ო.თ. – განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ხოლო 1994 წელს დაბადებული ბ.ჩ. – დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ ნ.მ.-მ და ო.თ.-მ თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩაზე, წარსულში მომხდარი კონფლიქტის გამო, ნაც-



ნობი – 1991 წელს დაბადებული გ.შ. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით დაჭრეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მიყენებული ჭრილობების შედეგად, გ.შ. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა 2 ბრალდებული მომხდარიდან მეორე დღეს, თბილისში, ხოლო მესამე ბრალდებული – სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან დააკავეს. პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან 13 მასრა და 5 ცალი ტყვიის გულის ფრაგმენტი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება მიმდინარეობს განზრახ მკვლელობის ფაქტზე, რომელიც დამამძიმებელ გარემოებაშია ჩადენილი ჯგუფურად და ისეთი საშუალებებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ასევე, დანაშაულის შეუტყობინებლობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე (საქართველოს სსკ-ის 109-ე, 376-ე და 236-ე მუხლებით), – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# „უკმაყოფილო ხალხი ივანიშვილის შუშის სასახლეს რამდენჯერმე შემოუვლის“

## ლევან ჩაჩუა: „მარყუჟებით ახალ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ვერ შეაჩერებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემებზე „ახალი თაობა“ მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას ესაუბრა.**

***– ბოლო დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახალი იდეებით გამოდის. მისი წევრები ღიად თუ ქარაგმულად მოგვიწოდებენ, არ ვაკრიტიკოთ მოსამართლეები და პოზიტიურად ვისაუბროთ სასამართლო სისტემაზე. რას იტყვით ამაზე, როგორც ყოფილი პოლიტპატიმარი?***

– ასეთი განცხადებები და შეზღუდვები ლოგიკურად ჯდება იმ მოვლენებში, რომლებიც დიდი ხანია, ხდება. „ქართულმა ოცნებამ“ პასუხი არ აგებინა იმ მოსამართლეებსა და პროკურორებს, რომლებმაც სააკაშვილის რეჟიმის დროს უამრავი უდანაშაულო ადამიანი გაგვიშვეს ციხეში. არც ის პოლიციელები დაუსჯია, რომლებიც ახალგაზრდებს ქუჩებში ხვრეტდნენ, ხალხს ქონებას ართმევდნენ და ტანჯავდნენ. დამნაშავეები არათუ არ დაუსჯიათ, არამედ, დააწინაურეს.

ასეთია, მაგალითად, ჩვენი საქმის პროკურორი. ისევ სასამართლო სისტემაში არიან მურუსიძე და ჩემია. ასეთები რომ იქნებიან დაწინაურებული მოსამართლეები, რაზეა ლაპარაკი? ჩემია იყო სააპელაციო სასამართლოში. მან სანდრო გირგვლიანის მკვლელებსაც 4 წელი და 6 თვე მიუსაჯა და ჩვენც – 8 ადამიანს, მათ შორის, სტიქაროსნებსა და სასულიერო აკადემიის სტუდენტებს, რომლებსაც არანაირი დანაშაული არ ჩაგვიდენია. ახლანდელმა ხელისუფლებამ დატოვა ნაციონალების დროინდელი სისტემა თავისი ბალასტით. არ მომხდარა სისტემური ცვლილებები. არც სამართლიანობა დამყარებულა.

***– ხელისუფლება ამბობს, რომ საქმეების გადასინჯვას დრო სჭირდება.***

– იმ 30.000 საქმიდან, რომელზეც სამართლიანობა უნდა აღედგინათ, ბევრი ჩაიფარცხა. ძალიან დიდი ეჭვია, რომ პროკურატურის ხელმძღვანელობა გარიგდა ნაციონალურ მოძრაობასთან. მაშინ ასევე მოხდა წილების გადანაწილება. მერე იძულებული გახდნენ, გამოეცხადებინათ კოაბიტაცია.

კარტელური მორიგებები ახლაც სახეზეა. ფარმაცევტული, სანავთობო ბიზნესი, საბანკო სისტემა ერთისა და იმავე ხალხის ხელშია. ფასებს როგორც უნდათ, ისე ადგენენ. ხალხი ზარალდება და ღატაკდება. ამას ანტიმონოპოლიური სამსახური ვერ უშველის. ამას მხოლოდ მაშინ ეშველება, თუ საქართველოს ხალხის ინტერესების გამტარებელი ხელისუფლება ეყოლება.

***– მოსამართლეების თემას დავუბრუნდეთ. რისთვის უნდათ მოსამართლეების კრიტიკის აკრძალვა?***

– ხელისუფლება ეკონომიკურ სტაბილურობას ვერ ქმნის, ხალხს ვერ ასაქმებს, ვერ აპურებს. სიტუაცია რომ აკონტროლოს, ამისთვის მიმართავს დაშინების ხერხს. ორი წლის წინ ვამბობდი, რომ „ოცნება“ პოლიციური რეჟიმის დამყარებას შეეცდებოდა და ამისთვის სხვადასხვა საბაბს გამოიყენებდა, მაგალითად, კრიმინალთან ბრძოლას.

კრიმინალი გაზრდილია. ახლახან თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩაზეც ჩაცხრილეს ახალგაზრდა. ჩვენ არ დაგვვიწყებია შვილის საფლავზე მოკლული იური ვაზაგაშვილი და მოკლული ბესო ხარძიანი. მოსამართლეებზე ცუდის თქმის აკრძალვა პოლიტიკის ნაწილია. ხელისუფლებას უნდა, შეზღუდოს თავისუფლება, დააშინოს ხალხი.

***– ზოგი თავისუფლებისა და დემოკრატიის შეზღუდვას კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტში ხედავს.***

– ეს უვარგისი პროექტია. აღარ უნდა დასრულდეს საქართველოში კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგება? ჯერ კონსტიტუცია თავის გემოზე გადააკეთა სააკაშვილმა, ახლა ამას ცდილობს ივანიშვილი. როგორ შეიძლება, ხალხს წაართვა უფლება, აირჩიოს უმაღლესი მთავარსარდალი – პრეზიდენტი? ან პარლამენტის არჩევას როგორი გზით გვთავაზობენ?

„ქართული ოცნება“ იმეორებს ნაციონალური მოძრაობის გზას და იღებს იმას, რასაც ადრე თვითონ ებრძოდა. თუ სისტემური ცვლილებები არ განხორციელდა, თუ ხელისუფლებამ ხალხისკენ არ გამოიხედა, რა მნიშვნელობა აქვს, „ქართული ოცნება“ იქნება მმართველი პარტია თუ ნაციონალური მოძრაობა? ამიტომ, ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ ისინი, ვინც ეკონომიკასაც გადაარჩენს, სულიერებასაც და კულტურასაც.

ახალი ხელისუფლება განსხვავებული უნდა იყოს შევარდნაძისა და მისი მოწაფეებისგან. ნაცმოძრაობაც და „ოცნებაც“ ძირითადად იმ




ხალხს წარმოადგენენ, რომლებიც შევარდნაძემ დააფრთიანა.

***– სხვები როგორ მოვლენ ხელისუფლებაში, თუ საარჩევნო სისტემა უვარგისია?***

– საარჩევნო სისტემა უვარგისია, ახალი პროექტიც უსამართლოა, შუაც გაკრიფეს, მაგრამ, თუ ხალხი გამოფხიზლდა, ყველაფერია შესაძლებელი. მნიშვნელობა აქვს მომხრეების რაოდენობას. ადრე გაერთიანებები იქმნებოდა ვილაცის წინააღმდეგ. ეს ალიანსები მყარი არ იყო და მალე იშლებოდა. თუ იდეოლოგიის საფუძველზე გავერთიანდებით, ყველაფერს მივაღწევთ.

ამ იმედს მიმყარებს ხალხის დამოკიდებულება. გორში, ოზურგეთში, ქუთაისსა და ბათუმში მოქალაქეებმა თავიანთი ბინები და სახლები ოფისებისთვის უსასყიდლოდ დაგვითმეს. ისინი გვეუბნებიან, რომ აღარ უნდათ, საქართველო მარიონეტულმა რეჟიმებმა მართონ. ჩვენში ისინი ახალ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ხედავენ და გვერდით გვიდგებიან.

***– მმართველ პარტიაში თავს იმით იმშვიდებენ, რომ საზოგადოებაში საპროტესტო მუხტი არ შეინიშნება.***

– თუ საქმე საქმეზე მიდგა, მმართველ პარტიას ხალხის რისხვა დაატყდება თავს. ამდენი შეუსრულებელი დაპირება მაინც არ იყოს! ჩვენ იმ პროგრამებსაც განვახორციელებთ, რომლებიც „ოცნებამ“ არ შეასრულა. ის მეცნიერები, რომლებიც თავის დროზე „ოცნებისთვის“ ეკონომიკურ პროგრამებს წერდნენ, ჩვენს მოძრაობაში არიან.

მარყუჟებითა და აკრძალვებით ახალ ეროვნულ მოძრაობას ვერ შეაჩერებენ. უკმაყოფილო ხალხი ბიძინა ივანიშვილის შუშის სასახლესაც რამდენჯერმე შემოუვლის. ამ დროს მას შეიძლება ვერტმფრენით მოუხდეს გაქცევა. მოძრაობაში სხვა ყოფილი პოლიტპატიმრებიც არიან. ჩვენ მერაბიშვილი-ახალაიას გულაგებით ვერ დაგვაშინეს და ვერც ახლა ამოგვდებენ ლაგამს!

# ამაყი ვარ იმ ადამიანებით, რომლებსაც სხვისი წუხილის გაზიარება შეუძლიათ

მე, ნაირა კალანდია-გერგედავა, ვთვლი, რომ 1993 წლის 30 სექტემბერს ჩემმა ცხოვრებამ აფხაზეთში აზრი დაკარგა. ჩემი წამებული შვილის ნუკრის თვალგადაყლაპული დედა ცოცხალი არ უნდა იყოს. ეს ისტორია ყველამ კარგად იცით, თუმცა ამჟამად მინდა გიამბოთ, როგორ განვითარდა მოვლენები ჩემს ოჯახში. ზოგჯერ თვითმკვლელობასაც ვფიქრობ, მაგრამ იმწამსვე მახსენდება ჩემი ერთადერთი შვილი და შვილიშვილები. მე და ჩემმა ტანჯულმა აწ გარდაცვლილმა მეუღლემ ტანჯვა-ვაებით შევძელით ორი შვილიშვილის გაზრდა. ახლა ორივე სტუდენტია. თუმცა, მათ ეს სტატუსი არ ექნებოდათ, რომ არა ქალაქ თბილისის მერი, ბატონი დავით ნარმანია. ოთხი წლის განმავლობაში მისი ფინანსური მხარდაჭერით გააგრძელეს ჩემმა შვილიშვილებმა სწავლა. ისინი მოტივირებული და წარმატებული სტუდენტები არიან.

2016 წლის 28 ოქტომბერს გაცვლითი პროგრამით ჩემი უმცროსი შვილიშვილი მიემგზავრებოდა პრაღაში. გზაზე მიმავალნი, რიკოთზე, ბორითთან, ჩემი გოგო ნანა და ჩემი შვილიშვილები ანა და მარიამი მოხვდნენ ავტოკატასტროფაში. დიდი ტრავმული დაზიანებები მიიღო ჩემმა შვილმა (ხერხემლის 6 მორჩის მოტეხილობა. კუდუსუნის დაზიანება და სახის ტრავმა), იყო უგონო მდგომარეობაში, არავინ ელოდა გადარჩენას. ჩემმა ორივე შვილიშვილმაც მიიღო მრავლობითი დაზიანებები. სანამ მე გავიგებდი ჩემი ოჯახის ტრაგედიას, მანამდის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ ვახტანგ ყოლბაიას მიუღია ყველანაირი ზომა, რომ სიკვდილს გადაერჩინა ჩემი ნანა. სიტყვით ვერ აღვწერ, მთელი აფხაზეთის სტრუქტურა, მთავრობის აპარატის უფროსი, ბატონ ოთარ გარმელიას, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს, ბატონ მურმან ფარფალიას, აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ქალბატონ ქეთევან ბაკარაძეს, ბატონი ვახტანგ ყოლბაიას ბრძანებით არაფერია დაუკლიათ, რომ პირველადი დახმარება გაეწიათ. ეს ამბავი ვაცნობე ქუთაისის გუბერნატორს, ბატონ გივი ჭიჭინაძეს და შველა ვთხოვე. დიდი დახმარება გამიწია და გვერდში ამომიდგა.

სანამ ეს ტრაგედია მოხდებოდა, ბინიდან გამოსახლების საშიშროების წინაშე აღმოვჩნდი. ვცხოვრობ ქ.თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მ/რ-ნი რამაზ ჩხიკვაძის ქუჩა №10 (ყოფილი სასტუმრო აკადემიური), მხოლოდ ერთი კვირა მქონდა ვადა სრული თანხის დაფარვისთვის, რაც წარმოუდგენელი იყო. მივმართე ყველა მთავრობის წარმომადგენელს, ასევე კომერციულ ბიზნესსფეროში მოღვაწე ადამიანებს, თუმცა ვისაუბრებ მათზე, ვინც ჩემი ტკივილი გულთან ახლოს მიიტანა და შეძლებისდაგვარად სხვადასხვა სახის დახმარება გამიწია – პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა წერილით მიმართვის შემდეგ ეს საკითხი განსახილველად გადასცა სამხარაულის აღსრულების ეროვნულ ბიუროს.



არასდროს დამავიწყდება აზერბაიჯანელი უფროსი, რომელმაც პირველ რიგში შვილის გარდაცვალება მომისამძიმრა და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ბინიდან გამოსახლების აღსრულება კერძო აღმასრულებელს ჰქონდა გადაცემული, ყველანაირი ზომა მიიღო აუქციონზე გატანის დროებითი გადაწევის შესახებ. გადამწყვეტი როლი ბინის შენარჩუნებაში შეასრულა აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის, ბატონი ვახტანგ ყოლბაიას მიერ გატარებულმა სხვადასხვა სახის დახმარებამ: კერძოდ, მან დაიწყო მოლაპარაკებები უშუალოდ ბანკის ქართველ ხელმძღვანელობასთან და ბევრი წვალების შედეგად დაითანხმა ისინი, მიიღო საჭირო ზომები და ბინა შემინარჩუნა.

აფხაზეთის ა/რ მთავრობამ, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა, ბატონმა მურმან ფარფალიამ, მთავრობის აპარატის უფროსმა, ბატონმა ოთარ გარმელიამ ყველანაირი ზომების გატარებით მოახერხეს ამ საკითხის გადაწყვეტა.

გარდა ამისა, მორალურად მხარს მიჭერდა და მამხნევებდა დეპუტატი, ბატონი გედევან ფოფხაძე. დღემდე მხარში მიდგას ჩვენი უბნის მაჟორიტარი, ვაკე-საბურთალოს დეპუტატი, ქალბატონი ნინო გოგუაძე, ვაკის გამგებელი, ბატონი ნოდარ ტურძელაძე და მისი მოადგილე, ბატონი გიორგი ბირბიჩაძე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე, ბატონი გოგი ფაცაცია, დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი, ბატონი მურად აბლოთია.

ჩემთვის თითო ადამიანის მორალური მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ყველა გვერდში მედგა. მათ ამაგს ვერასდროს დავივიწყებ. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ელგუჯა გვაზავას, აფხაზეთის მთავარ პროკურორს, ბატონ ანზორ ლაცუზბაიას, ბატონ ვახტანგ თორდიას, ბატონ დავით გვაძაბიას, ბატონ ზურაბ მებონიას, ბატონ თამაზ ხუბუას, ბატონ რევაზ გერგედავას, აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ იგორ კოპალიანს, აპარატის უფროსს, ბატონ ავთანდილ ხაზალიას, ყველა ჩემს მეზობელს მინდა, მადლობა ვუთხრა – ყველა გვერდში მედგა ფინანსურადაც და მორალურადაც.

უამრავი ტრაგედიის, ფსიქოლოგიური სტრესის, პრობლემების მოზიარე, ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი, სულიერი მამა, ხარების ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მამა დავით ჭანტურიაა. მან დიდი ბედნიერება შემოიტანა ჩემს ბინაში. შობის ღამეს, დილის 5 :15 წუთზე, ხარების ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა დავით ჭანტურიამ და დეკანოზმა მამა დავით როგავამ ეკლესიიდან მგალობელ ბიჭებთან და სტიქაროსნებთან სანთლებითა და საკმევლით ჩემს ბინაში ალილოთი მომილოცეს შობა და მრავალჟამიერით გააგრძელეს. ავტირდი, ჩემი ტყვიისაგან დაცხრილული ნუკრის სურათს მოვკიდე ხელი და ამოვთქვი, შვილი გამიცოცხლდა-მეთქი. დეკანოზმა, მამა დავით ჭანტურიამ გულში ჩამიხუტა და მაკოცა. როდესაც მიჭირდა, მან ფინანსური დახმარებაც გამიწია. მადლობა, ღმერთო, რომ ჩემს ოჯახს ჰყავს ასეთი მამაო.

**შაოსანი დედა**

**ნაირა კალანდია-გერგედავა**

# „ტობას“ ინვესტორებისთვის შეთავაზება მიმდინარეობს

სამეგრელოში ახალი მრავალმილიონიანი ტურისტული მარშრუტის – „ტობას“ ინვესტორებისთვის შეთავაზება მიმდინარეობს. ამის შესახებ „კომერსანტს“ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში განუცხადეს.

როგორც ცნობილია, ტურისტული მარშრუტი კურორტ მუხურიდან (ჩხოროწყუს რაიონი) დაიწყება. კონცეფციის მიხედვით, იგეგმება ტობას მიმართულებით გზებისა და საბაგიროს მოწყობა.

როგორც გუბერნატორის ადმინისტრაციაში აცხადებენ, ტობას განვითარების ფარგლებში ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით წელს დაიწყება მუხურიდან ტობამდე მისასვლელი, 6-კილომეტრიანი გზის მშენებლობა. ასევე დაგეგმილია საბაგირო გზის მშენებლობაც. მათი ინფორმაციით, გზის მშენებელი კომპანიის გამოსავლენად ტენდერი უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

გუბერნატორის ადმინისტრაციის ინფორმაციით, იქიდან გამომდინარე, რომ ტობას განვითარება საკმაოდ დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული, ადგილობრივი ხელისუფლება პროექტით ქართველი და უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას გეგმავს. მათი ინფორმაციით, უკვე მიმდინარეობს ინვესტორებთან ტობას განვითარების კონცეფციის გაცნობა.

როგორც ცნობილია, მომზადებულია კონცეფცია, თუმცა, რა დაჯდება აღნიშნული ტურისტული მარშრუტის განვითარება, ამაზე გუბერნატორის ადმინისტრაციაში ამ დროისთვის ვერ საუბრობენ. რამდენიმე თვის წინ „კომერსანტთან“ გუბერნატორის ადმინისტრაციაში აცხადებდნენ, რომ წინასწარი გათვლებით პროექტი საკმაოდ მსხვილბიუჯეტიანი, შესაძლოა, რამდენიმე მილიონიანიც იყოს.





სამეგრელოს მაღალმთიანეთში ტობას განვითარების გეგმა დიდი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას გულისხმობს. გეგმის თანახმად, ტურისტული მარშრუტი კურორტ მუხურიდან დაიწყება და ეგრისის ქედზე, ზღვის დონიდან 2.650 მეტრის სიმაღლეზე დამთავრდება, სადაც ტურისტს მყინვარული წარმოშობის 7 ტბის მონახულების შესაძლებლობა ექნება. ტობას განვითარების კონცეფციის ავტორი საქართველოს სპელეოკავშირის წევრი, ფოტოგრაფი რომან თოლორდავაა.

ადმინისტრაციის ინფორმაციით, განვითარების გეგმა ხუთ ტობას მოიცავს (დიდღალიშ ტობა, წაქაწყარიშ ტობა, კალაშიშ ტობა, ცაშკიბულიშ ტობავარჩხილი და ჭითაგვალაშ ტობავარჩხილი), ასევე შესაძლებელია, დაემატოს 2 ტობა.

ტურისტული მარშრუტი კურორტ მუხურიდან დაიწყება და კონცეფციის მიხედვით იგეგმება გზებისა და საბაგიროს მოწყობა ტობას მიმართულებით.

ერთ ტურისტულ მარშრუტზე შესაძლებელი იქნება შურუბუმეს მღვიმეს, კანიონის და უიშვიათესი მცენარეების დათვალიერება. განვითარების გეგმაში ასევე შედის მდინარე გვალაშარასა და მის კანიონში სამოყვარულო კანიონის განვითარება.

– ეს მარშრუტი ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისთვის, მოყვარულებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. პროფესიონალი კანიონიგებისთვის მარშრუტის მოწყობა კი მდინარე კირაზალაზეა შესაძლებელი. მდინარე ღუნჯი და მისი ჩანჩქერი კი პირველი დონის კანიონიგისთვის იქნება გათვლილი. ტობას განვითარების გეგმის მიხედვით, მდინარე ხობზე რაფტინგისა და კანიონიგის განვითარებაც იგეგმება, – აცხადებენ ადმინისტრაციაში.

დაგეგმილია ტურისტული ბილიკების გაშლა. ტბებიდან შესაძლებელი იქნება სვანეთში, დაბა ხაიშში ან მეორე მხარეს, ეგრისის ქედის სამხრეთ ნაწილში, კურორტ სკურში გადასვლა. კონცეფციის მიხედვით უნდა გაიწმინდოს და დაიგოს გზები, ასევე მოეწყოს საბაგირო ტობას მიმართულებით.

სამეგრელოს მაღალმთიანეთის განვითარების გეგმაში ასევე შედის ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარება. ამ მიმართულებისთვის შერჩეულია ნათიფურუს, ლანჯერის, ოხოჯეს, გვამარდასა და კალაშარას მეჯოგეთა საზაფხულო სადგომები. ასევე შესაძლებელია სათევზაო და სანადირო ტურიზმის განვითარებაც.

ტობავარჩხილი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ეგრისის ქედზე, ზღვის დონიდან 2.650 მეტრზე მდებარეობს. ტბის უდიდესი სიღრმე 35 მეტრია.

ტობავარჩხილი – ვერცხლის ტბა მთის გამჭვირვალე ტბის საერთო სახელია. ეგრისის ქედზე ამ სახელწოდების სულ 6 ტბაა.

# კომერციული ბანკებისათვის მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი გაიზარდა




საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 3 მაისის ბრძანებით, კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა ამჟამად დაწესებული 12 მილიონი ლარიდან 50 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

უწყების განმარტებით, აღნიშნული ცვლილების მიზანია დაბალი კაპიტალიზაციის მქონე ბანკებში რისკის გაზრდის მოტივაციის შეზღუდვა და სისტემაში ფინანსურად მდგრადი ინსტიტუტების შემოსვლა, რამაც საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობის განმტკიცებას უნდა შეუწყოს ხელი.

– აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში არსებული მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მთელს მსოფლიოში და არ შეესაბამება ქვეყნისა და მისი ფინანსური სექტორის განვითარების დონეს.

ცვლილება მხარდაჭერილ იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მიერ.

ახალი ბრძანების თანახმად, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღებით დაინტერესებული იურიდიული პირების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 50 მილიონ ლარს უნდა შეადგენდეს.

ამასთან, ბრძანების გამოცემამდე საქართველოში უკვე ლიცენზირებული კომერციული ბანკებისთვის დაწესდა აღნიშნული მოთხოვნის შესრულების ვადები სამ ეტაპად, რომელთა მიხედვითაც მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 30 მილიონ ლარს 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, არანაკლებ 40 მილიონ ლარს 2018 წლის 30 ივნისისათვის და არანაკლებ 50 მილიონ ლარს 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, – ნათქვამია ეროვნული ბანკის განცხადებაში.

# მერვეკლასელთა 28% მათემატიკაში მინიმალურ ცოდნასაც არ ფლობს

მეოთხე კლასიდან მერვე კლასამდე მოსწავლეთა შედეგები უარესდება.

საერთაშორისო კვლევების თანახმად, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში საქართველოს 2015 წლის შედეგები, წინა წლებთან შედარებით, გაუმჯობესებულია. თუმცა, პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, საქართველოს შედეგი საერთაშორისო საშუალო ნიშნულს ვერ აღწევს.

2015 წლის შედეგებით, ქართველი მოსწავლეების მიღწევები მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში არსებითად ჩამორჩება საერთაშორისო საშუალო ნიშნულს (500) როგორც მე-4, ისე მე-8 კლასში.



კვლევაში წერია, რომ მეოთხეკლასელ მოსწავლეთა 22% და მერვეკლასელთა 28% მათემატიკაში მინიმალურ ცოდნასაც არ ფლობს. ბუნებისმეტყველებაში იგივე შედეგი მეოთხეკლასელ მოსწავლეთა 26% და მერვეკლასელთა 30%-ს აქვს.

მეოთხე კლასიდან მერვე კლასამდე მოსწავლეთა შედეგები უარესდება.

დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლა-სწავლებაში არსებული ხარვეზები საბაზო საფეხურზე ახალი ცოდნის შეძენის პროცესში დამატებით ბარიერებს ქმნის.

# ვახტანგ ბუცხრიკიძე: „საქართველოში მაქსიმუმ 7-10 ბანკი უნდა იყოს“

„თიბისი ბანკის“ გენერალურ დირექტორ ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებით, საქართველოში საკმაოდ ბევრი ბანკია. რაც შეეხება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებას, რომლის მიხედვით, კომერციული ბანკებისთვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა 12 მილიონი ლარიდან 50 მილიონ ლარამდე გაიზარდა, ბუცხრიკიძის თქმით, ეს არის რეგულატორის მოთხოვნა, „თუმცა, ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, 50 მილიონი ლარი საკმარისი არ არის“.




– დღეს რომ წარმატებული საბანკო ინსტიტუტი გქონდეს საქართველოში გაცილებით მეტი ინვესტიციაა საჭირო და ეს ბუნებრივი მოთხოვნაა. მეორე, რაც შეიძლება ითქვას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბანკების რაოდენობა, საკმაოდ დიდია და ალბათ, საშუალო ვადაში მოსალოდნელია, რომ ბანკების რაოდენობა შემცირდება... რომ იყო წარმატებული ბანკი და წარმოდგენილი იყო ან ერთ, ან რამდენიმე სეგმენტში, ახალი ტექნოლოგიური პროდუქტები შესთავაზო შენს მომხმარებელს, ჩემი აზრით, 50 მილიონი ინვესტიცია არ არის საკმარისი. რამდენი ასეული მილიონის ინვესტიციაა საჭირო, – განაცხადა ბუცხრიკიძემ და დასძინა, რომ „თიბისი ბანკის“ კაპიტალი მილიარდზე მეტია.

მისივე თქმით, ქვეყანაში, რომლის მოსახლეობაც 4 მილიონზე ნაკლებია, ბანკების რაოდენობა დღეს ბევრია, შესაბამისად, საშუალო ვადაში ისეთი ზომის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ალბათ, საკმარისი უნდა იყოს მაქსიმუმ 7-დან 10 ბანკამდე, – აღნიშნა ბუცხრიკიძემ.

# მივლინებისას პრეზიდენტის სადღეღამისო ნორმის დანამატი 300 დოლარით განისაზღვრა, პრემიერის – 150 დოლარით

მთავრობამ პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობის წესი დაამტკიცა.

დადგენილება, რომელიც 25 აპრილს დამტკიცდა, ძალაში მიმდინარე წლის 1 ივლისიდან შევა.

დადგენილების მიხედვით, მივლინებაში ყოფნის პერიოდში მოხელეს დაკავებული თანამდებობა და შრომითი გასამრჯელო უნარჩუნდება. ამასთან, მივლინებაში გამგზავრებისას საჯარო მოხელეს მივლინებაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში სრულად უნდა აუნაზღაურდეს სამივლინებო ხარჯები, გარდა ამ წესით დადგენილი გამონაკლისებისა.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით, მთავრობის წევრმა პრემიერ-მინისტრს უნდა მიმართოს და მიმართვაში ვიზიტის მიზანი და ხანგრძლივობა აღნიშნოს.

– სამივლინებო ხარჯები შედგება სადღეღამისო, მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისა და საჭიროების შემთხვევაში, საზღვარგარეთის შესაბამისი ქვეყნის ვიზის მიღებისათვის გაწეული ხარჯებისაგან, ხოლო 30 კმ-მდე მანძილზე მივლინებისას, როდესაც შესაძლებელია სამუშაო (საცხოვრებელ) ადგილზე იმავე დღეს დაბრუნება, ანაზღაურდება მხოლოდ მგზავრობის ხარჯები.

შესაბამის თანამდებობის პირს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას ყოველდღიურად აგრეთვე მიეცემა ამ წესის N2 დანართით გათვალისწინებული სადღეღამისო ნორმის დანამატი. ამასთან, N2 დანართის შენიშვნის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შესაბამის თანამდებობის პირებს აუნაზღაურდებათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივ მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის დაქირავებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები.

სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის მოსამზადებლად ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას მოხელეს ასევე აუნაზღაურდება მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები, ხოლო სამთავრობო დელეგაციის წევრებს – მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის ხარჯები, – ვკითხულობთ დადგენილებაში.

დადგენილებით, პრეზიდენტის სადღეღამისო ნორმის დანამატი 300 დოლარის ეკვივალენტი შესაბამისი ვალუტით; ხოლო პრემიერ-მინისტრის სადღეღამისო ნორმის დანამატი – 150 დოლარის ეკვივალენტი შესაბამისი ვალუტით განისაზღვრა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და პირველი მოადგილის მივლინების პირველ სამ დღეზე (თითოეულ ქვეყანაში) სადღეღამისო ნორმის დანამატი (თითოეულ დღეზე) კი შემდეგი ოდენობით განისაზღვრა: პარლამენტის თავმჯდომარისათვის – 230 ევროს ეკვივალენტით შესაბამის ვალუტაში; მისი პირველი მოადგილისათვის კი – 200 ევროს ეკვივალენტით შესაბამის ვალუტაში.



– საქართველოს პრეზიდენტის დაცვითი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, ქვეყნის შიგნით მივლინებულ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს სადღეღამისო ხარჯებისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის ეძლევათ დღეში 50 ლარი, ხოლო მივლინებიდან დაბრუნების დღეს უნაზღაურდებათ მხოლოდ ამ დადგენილებით განსაზღვრული ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა.

საქართველოს პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის თანამშრომლების ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატი განისაზღვროს დანართი 3-ის შესაბამისად.

შესაბამისი საჯარო დაწესებულებისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა ან საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოხელეთა ერთობლივი წარმომადგენლობითი დელეგაციის სამსახურებრივი მივლინებისას სამივლინებო ხარჯები შესაძლებელია ანაზღაურდეს შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიერ წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვიზიტთან დაკავშირებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საზღვარგარეთ მივლინებულ თანამშრომლებს ეძლევათ სადღეღამისო ნორმაზე დანამატი 30%-ის ოდენობით, – ნათქვამია დადგენილებაში.

# ავსტრალიელის ეზოში ნაპოვნ პითონს კენგურუ ჰყავდა გადაყლაპული



ავსტრალიელმა ქალმა საკუთარი სახლის მახლობლად აღმოაჩინა დიდი პითონი, რომელსაც კენგურუ ჰყავდა გადაყლაპული.

რინი სტინვინკელის თქმით, რომელიც კვისლენდის შტატის ქალაქ კერსის მახლობლად ცხოვრობს, ხუთი მეტრი სიგრძის რეპტილია მისი სახლის კართან იწვა.

ქალი ამტკიცებს, რომ გველებზე მონადირე სპეციალისტმა, რომელსაც ნანახის თაობაზე აცნობა, მისი ნათქვამი არ დაიჯერა, სანამ საკუთარი თვალით არ ნახა.

— მისი თქმით, ასეთ გველს ექვსი წლის ბავშვის გადაყლაპვაც შეუძლია, — განაცხადა სტინვინკელმა.

გველებზე მონადირის თქმით, ქვეწარმავლის წონამ გადაყლაპულ კენგურუსთან ერთად 40 კილოგრამი შეადგინა. იმისთვის, რომ ასეთი ზომის პითონს გამკლავებოდა, მას ნაცნობის დახმარება დასჭირდა. მათ ერთობლივი ძალისხმევით გიგანტური რეპტილია ავტომობილის საბარგულში მოათავსეს, მოშორებით მდებარე მდინარესთან გადაიყვანეს და გაუშვეს.

# შიშველი რუსი მხატვარი ნიუ იორკში გამჭვირვალე ყუთში ჩაიკეტა



ნიუ იორკის დააკავა პოლიციამ რუსი მხატვარი, რომელმაც შიშველი პერფორმანსი მეტროპოლიტენ მუზეუმთან საქველმოქმედო საღამოს დროს მოაწყო.

ინციდენტი ორშაბათ საღამოს მეხუთე ავენიუზე მოხდა. პოლიციის მონაცემებით, 41 წლის ფიოდორ პავლოვ-ანდრეევიჩი გამჭვირვალე ყუთში შიშველი ჩაიკეტა, რომელიც მისმა დამხმარეებმა მუზეუმის წინ წითელ ხალიჩაზე დადგეს. ამ დროს მეტროპოლიტენ მუზეუმში საქველმოქმედო საღამო მეთ გალა იმართებოდა, რომელშიც მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც არიან ნიკი მინაჟი, კეტი პერი, რიანა და სხვები.

პოლიციელებმა მამაკაცს მოსთხოვეს, ყუთი დაეტოვებინა, ხოლო უარის მიღების შემდეგ მათ მეხანძრეების გამოძახება მოუხდათ, რომლებმაც კონსტრუქცია დაშალეს, ხოლო მხატვარი თეთრ ქსოვილში გაახვიეს და წაიყვანეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუს მხატვარს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, შემოსაზღვრული ტერიტორიის უკანონოდ გადალახვისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდება წაუყენეს. ის დროებით გაათავისუფლეს, თუმცა მალე სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა.

# ძუნწმა კოლუმბიელმა ცხრა ათასი დოლარი შეჭამა



კოლუმბიელმა ქალბატონმა 90 ასდოლარიანი კუპიურა გადაყლაპა, რათა ის თავისი ყოფილი მეუღლისთვის არ გაეყო. ამ ინფორმაციას სანტანდერის დეპარტამენტის პროკურატურა ავრცელებს. 28 წლის გოგონამ ცხრა ათასი დოლარი, რომელიც მეუღლესთან თანაცხოვრების დროს იყო შეგროვებული, შეჭამა. ამის გამო მას ექიმების დახმარება დასჭირდა, რომლებმაც უჩვეულო საუზმის მისი კუჭიდან ამოღება მოახერხეს. თავად ქალის თქმით, 5,7 ათასი დოლარი გადარჩა და ის შემდგომ გამოსაყენებლად ვარგისია, ხოლო დანარჩენი „გაფუჭდა“. პროკურატურაში განაცხადეს, რომ ქალთან პრეტენზიები არ აქვთ, ვინაიდან ფული კანონიერი გზით იყო მიღებული, კერძოდ, ყოფილი წყვილის აქტივების გაყიდვიდან.

# ჩინელმა საკუთარ ქორწილში უცხო ადამიანები ნათესავებად გაასაღა

ჩინეთში დააკავეს სასიძო, რომელმაც ორასი ადამიანი იმისთვის დაიქირავა, რომ მათ მისი ქორწილის დროს თავი მის ნათესავებად და მეგობრებად გაესაღებინათ.

პატარძლის ნათესავებს სიძის ნათესავებში ეჭვი შეეპარათ, ვინაიდან სტუმრების უმრავლესობა ვერ ამბობდა, თუ საიდან იცნობდა სიძეს. ეჭვი მათ კიდევ უფრო გაუმყარდათ, როდესაც საქორწინო ცერემონიაზე სიძის მშობლები არ გამოცხადდნენ. მალე გაირკვა, რომ სიძეს სტუმრები დაქირავებული ჰყავდა. საქორწინო ცერემონიაში მონაწილეობისთვის ის თითოეულს 80 იუანს შეჰპირდა. ზოგიერთმა შემდგომ აღიარა, რომ ტაქსის მძღოლებად მუშაობდნენ, ზოგიერთი კი სტუდენტი აღმოჩნდა. უცნობი დარჩა, თუ რაში დასჭირდა სასიძოს ასეთი სიცრუე. პატარძლის მტკიცებით, მასთან სამი წლის ურთიერთობის განმავლობაში უცნაური არაფერი შეუმჩნევია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# აშშ ავღანეთში სამხედრო კონტინგენტს გაზრდის



პენტაგონმა ავღანეთში წარმატებული სამხედრო კამპანიის ახალი ტაქტიკა შეიმუშავა. ამის თაობაზე თავდაცვის მინისტრმა მატისმა პრეზიდენტ ტრამპს დაწვრილებით მოახსენა. ტრამპმა ახალი გეგმა მოიწონა.

ახალი გეგმა ავღანეთში ამერიკული კონტინგენტის გაზრდას ითვალისწინებს. ნავარაუდევია ტერორისტებთან ბრძოლის ახალ მეთოდებზე გადასვლა.

# პუტინის ქალიშვილის ფონდმა 1 მილიარდი დახარჯა



პუტინის ქალიშვილის კატერინა ტიხომიროვას ფონდმა გასულ წელს 1 მილიარდი რუბლი დახარჯა. დახარჯული თანხიდან 85 მილიონი ფონდის თანამშრომელთა შენახვას მოხმარდა.

თავად პუტინმა კომენტარზე უარი განაცხადა.

— როცა საქმე ჩემს ოჯახს შეეხება, კომენტარს არ ვაკეთებ, — თქვა რუსეთის პრეზიდენტმა.

მან აღნიშნა, რომ მისი ქალიშვილები არც ბიზნესს აწარმოებენ და არც პოლიტიკაში ერევიან.

— ამას იმათ გასაგონად ვამბობ, ვისაც აჟიოტაჟების ატეხა უყვარს, — განაცხადა პუტინმა.

# მარინ ლე პენს კვერცხები დაუშინეს



საფრანგეთის პრეზიდენტობის პრეტენდენტი ბრეტანში ჩავიდა. აქ ის ამომრჩეველს უნდა შეხვედროდა.

მოულოდნელად ლე პენის მიმართულებით კვერცხები წამოვიდა. ერთ-ერთი კვერცხი ლე პენს პირდაპირ თავში მოხვდა.

დაცვა ლე პენს გადაეფარა. რამდენიმე კვერცხი დაცვის წევრებსაც მოხვდათ. მათ მარინ ლე პენი გაიყვანეს.

— ჩემი თანამემამულეების გამო მრცხვენია! ასე პაპუასები იქცევიან, — თქვა მარინ ლე პენმა.

მომხდარში მან თავისი ოპონენტი მაკრონი დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ მაკრონი ფრანგული ოლიგარქიის წარმომადგენელია, ლე პენი კი — ხალხის, ამიტომაც მისი ეშინია და ბინძური მეთოდებით ებრძვის.

— მიუხედავად ამისა, მაინც გავიმარჯვებ! — ამბობს ლე პენი.

# დონბასი: სეპარატისტებს აზოვის ზღვის ფლოტილიის შექმნა სურთ



უკრაინელმა ჟურნალისტმა დმიტრო ტიმჩუკმა განაცხადა, რომ დონბასელ სეპარატისტებს აზოვის ფლოტილიის შექმნა სურთ. რუსეთი აპირებს, მათ სადარაჯო კატერები გადასცეს. ტიმჩუკის აზრით, ეს შემთხვევით არ ხდება.

— ზღვიდან მარიუპოლზე შეტევა მზადდება, — აცხადებს ტიმჩუკი.

ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ზახარჩენკომ, თავის მხრივ, დაადასტურა, რომ მარიუპოლის აღებას აპირებს.

— ეს ჩემი ცხოვრების უმთავრესი მიზანია, — თქვა ზახარჩენკომ.

ექსპერტ მიხეილ არესტოვიჩის აზრით, შეტევა მარიუპოლზე რუსეთის მორიგი პროვოკაციაა. სქემა დაახლოებით იგივეა, რაც რუსეთმა გამოიყენა ცხინვალში, როცა ქართულ არმიას თავს დაესხა და მშვიდობის დარღვევაში საქართველო დაადანაშაულა. მარიუპოლზე შეტევა ჩასაშლელად არის განწირული. როგორც რუს ჯარისკაცებში, ასევე სეპარატისტებში უდიდესი მსხვერპლი იქნება. რუსეთიც განაცხადებს, უკრაინამ მინსკის სამშვიდობო პროცესი დაარღვიაო და დონბასში დამატებით საჯარისო კონტინგენტს შეიყვანს.

— ყოველივე კი დონბასის რუსეთის შემადგენლობაში შესვლით უნდა დამთავრდეს. ასეთია კრემლის მიზანი, — ამბობს არესტოვიჩი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



# რა დაავადებას იწვევს ჰელიკობაქტერია

ეკა ირემაშვილი



ჰელიკობაქტერიის გავრცელების მაღალი მაჩვენებელი საქართველოს მოსახლეობაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში უმაღლეს ნიშნულს მიუახლოვდა. პილორული ჰელიკობაქტერიის გავრცელება საქართველოში პირველად ქალბატონი მიმოზას მიერ იქნა შესწავლილი.

რა არის პილორული ჰელიკობაქტერია, როგორია მისი სიმპტომები და მკურნალობის მეთოდები, ამ თემებზე სამედიცინო ცენტრის „ლანცეტი" გასტროენტეროლოგი, მედიცინის დოქტორი მიმოზა კანკია საუბრობს.

**მიმოზა კანკია:**

– ჰელიკობაქტერიის გავრცელების მაღალი მაჩვენებელი საქართველოს მოსახლეობაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში უმაღლეს ნიშნულს მიუახლოვდა.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან რადიკალურად შეიცვალა წყლულოვანი დაავადებისა და ქრონიკული გასტრიტის მკურნალობისა და პრევენციის საკითხები, რაც განაპირობა პილორული ჰელიკობაქტერიის აღმოჩენამ.



***– რა არის პილორული ჰელიკობაქტერია?***

– საერთაშორისო კვლევებით დადგენილია, რომ, პილორული ჰელიკობაქტერია ქრონიკული გასტრიტის წყლულოვანი დაავადების განვითარებაში ერთ-ერთი მთავარი, ძირითადი რისკ-ფაქტორია.

1994 წელს კიბოს შემსწავლელმა საერთაშორისო ორგანიზაციამ პილორული ჰელიკობაქტერია აღიარა პირველი რიგის კანცეროგენად ანუ კუჭის კიბოს გამომწვევ ფაქტორად.

***– როგორია დაავადების მკურნალობის მეთოდები?***

– წყლულოვანი დაავადების და ქრონიკული გასტრიტის დროული და სათანადო მკურნალობა მოიცავს ჰელიკობაქტერიის აუცილებელ ელიმინაციას ანუ მოსპობას.

პილორული ჰელიკობაქტერიის ელიმინაცია კუჭის კიბოს რეალური განვითარების საფრთხისაგან მოსახლეობის პრევენციის – დაცვის მყარ გარანტიას იძლევა.

ჩვენს კლინიკაში მაღალი აკადემიური ხარისხით ტარდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ენდოსკოპიური გამოკვლევა და პილორული ჰელიკობაქტერიის ვერიფიკაცია. თქვენ შეგიძლიათ ჩაიტაროთ სრულყოფილი ლაბორატორიული და ინსტრუმენტალური მეთოდური კვლევები – ულტრაბგერითი გამოკვლევა, გასტროსკოპია, კოლონოსკოპია – თანამედროვე აპარატურის საშუალებით. ჩვენ კი დაგეხმარებით დროულად და წარმატებით დავამარცხოთ გამოვლენილი პრობლემა, რომელიც თქვენს ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

***– როდის უნდა მიმართონ ადამიანებმა გასტროენტეროლოგს?***

– არ გადადოთ ვიზიტი გასტროენტეროლოგთან თუ თქვენ: ქრონიკულად გაწუხებთ მუცლის ტკივილი, ან გაქვთ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული დაავადებები; გაქვთ საჭმლის მომნელებელი სისტემის ხშირი დისფუნქცია, მონელების შეფერხება, ტკივილის შეგრძნება და დისკომფორტი.

# ქუთაისმა კაკტუსს მძიმე ბრძოლაში სძლია და სერიაში დაწინაურდა

**ქუთაისი-კაკტუსი 85:83**
(19:25, 22:12, 19:22, 25:24)

სუპერლიგის პლეი ოფი ქუთაისში ნახევარფინალური სერიით გაიხსნა. რეგულარულ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასულმა ქუთაისმა მესამეადგილოსან კაკტუსს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 85:83 დაამარცხა.



შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ხან ერთი გუნდი იგებდა დამაჯერებლად, ხანაც მეორე, თუმცა ბოლო წუთებზე თამაშიც და ანგარიშიც გათანაბრდა, დაძაბულობამაც იმატა და შეხვედრის ბედი დასკვნითმა წამებმა გადაწყვიტა.

მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო და პირველსავე მეოთხედში არჩილ ჟღენტის გაწვრთნილი კაკტუსი 10 ქულით დაწინაურდა. მეორე პერიოდში მასპინძლებმა თამაში გამოასწორეს და 22:32 ჩამორჩენის შემდეგ 16:0 გაქცევა მოაწყვეს, 38:32 გალიდერდნენ და დიდ შესვენებაზე დამშვიდებულები გავიდნენ.

მესამე პერიოდში სტუმრებმა რეაბილიტაცია შეძლეს, ჯერ ჩამორჩენა შეამცირეს, ხოლო ბოლო პერიოდში ლიდერობა დაიბრუნეს. შეხვედრის დასრულებამდე 7 წუთით ადრე კაკტუსი 73:64 დაწინაურდა და კოტე ტუღუშის გაწვრთნილი ქუთაისელები წაგების რეალური საფრთხის წინაშე დადგნენ. იმერულ კლუბს სჩვევია მყისიერად ვითარების შეცვლა და სწორედ ასე მოხდა, როცა გიორგი ცინცაძემ და ბექა ბექაურმა ერთმანეთის მიყოლებით ჩააგდეს უმნიშვნელოვანესი ქულები და მასპინძლებმა ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, შემდეგ კი, დასრულებამდე 3 წუთით ადრე 4 ქულით – 81:77 დაწინაურდნენ.

კაკტუსი მაინც არ დანებდა და ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა, მაგრამ ქუთაისელთა მსროლელმა, აკაკი ლომოურმა უმნიშვნელოვანესი ორქულიანი მიითვალა და ქუთაისი 83:79 დაწინაურდა. კაკტუსელმა ტერიკ ბრიჯმენმა სწრაფი ორქულიანი ჩააგდო, ხოლო სტუმრებმა დაცვაში ტაქტიკური ჯარიმა აიღეს. გიორგი ცინცაძემ ზუსტად ესროლა საჯარიმოები და 4-ქულიანი სტატუს-კვო აღდგა. ბექა ჩიკვილაძემ დასრულებამდე 3 წამით ადრე სწრაფი ორქულიანი მიითვალა, თბილისელთა ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა და კარგი დაცვის ხარჯზე სტუმრებმა გვერდიდან შემოტანილი ბურთიც ჩაუჭრეს ქუთაისელებს. თუმცა კაკტუსს დრო არ ეყო – ბექა ჩიკვილაძე იძულებული იყო მოედნის ცენტრიდან ესროლა, რომელიც არ ჩავარდა და ქუთაისი სერიაში დაწინაურდა.

გამარჯვებულებს 15 ქულითა და 8 მოხსნით გიორგი ცინცაძემ ულიდერა. 15 ქულა ჩააგდო ზაურ ფაშაევმაც, ხოლო კიდევ ერთმა უკანახაზელმა გოგა ცეკვავამ შეხვედრა 12 ქულით დაასრულა. კაკტუსში 25 ქულით, 7 მოხსნით და 7 პასით საუკეთესო იყო ბექა ჩიკვილაძე. ტაილერ უაითმა 18 ქულა დააგროვა, ჯონ ფლოვიესის ანგარიშზე კი ორმაგი დუბლი – 11 ქულა და ამდენივე მოხსნა დაგროვდა.

# ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ევროპის ჩემპიონია

სერბეთის ქალაქ ნოვი სადში მიმდინარე ევროპირველობაზე თავისუფალი სტილით მოჭიდავე ვლადიმერ ხინჩეგაშვილი მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი.

ამჯერად 61 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ხინჩეგაშვილი მეორე წრიდან შეუდგა ოქროსკენ მიმავალ გზას და მისი გაკვალვა მოლდოველ ანდრეი პერპელიტასთან (4:1) დაჭიდებით გახსნა. მეოთხედფინალში ხინჩეგაშვილმა აზერბაიჯანელ ახმედნაბი გვარზატილოვთან პირველი პერიოდი კი დათმო, მაგრამ საბოლოოდ 9:5 იმარჯვა. ნახევარფინალში კი, ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა უკრაინელ პეტრო ბილეიჩუკს საკმაოდ ადვილად აჯობა – 8:2.

საჩემპიონო ბრძოლა დრამატული და სანერვულო გამოდგა – ლადომ რუსეთის ნაკრების წევრ ახმედ ჩაკაევთან თითქმის წაგებული შეხვედრა მოიგო. საფინალო გონგამდე წუთნახევრით ადრე ჩაკაევი 7:0 დაწინაურდა და თითქოს ოქროს მედლის ბედიც გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ლადომ დაახლოებით ერთ წუთში 10 ქულა აიღო. შესაბამისად, ისეთი უპირატესობა მოიპოვა, რომ ბრძოლის მიწურულს მოწინააღმდეგეს 2 ქულა ტაქტიკურად დაუთმო და 10:9 დაამარცხა.



მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა


# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

## მკურნალობა

- ალკოჰოლიზმის მკურნალობა გარანტირებული შედეგით (თუნდაც ფარულად – საკვებში შერევით), სიგარეტის გადაგდება, ნიკოტინისგან განთავისუფლება, ნევროზი, უძილობა, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, მცენარეული პარასამკურნალო პროდუქტით, ართრიტი, ართროზი, რევმატიზმი, კანის დაავადებები (ფსორიაზი, სოკო), ქერტლი, ჭაღარისგან, წვრილი ნაოჭებისგან დაცვა, სახის კანის მოვლა, ნიღბები (გოჯის ნიღაბი). პარასამკურნალო საშუალება გარანტირებულად უსაფრთხოა. შეგვიძლია სამკურნალო საშუალების გაგზავნა რეგიონებში, ემიგრანტებთანაც (საჭიროების შემთხვევაში, ადგილზეც ჩავაკითხავთ). მოგემსახურებიან სერთიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტები. გვნახეთ ფაცებოოკ-ზე კარაბადინი-ენზიმები. ტელ: 558-34-36-24; 555-45-13-45; 599-45-88-66.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ჩემპიონი მხოლოდ გერმანიაში გამოვლინდა

**ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში პირველობები დასასრულს უახლოვდება. ჩემპიონი ჯერ მხოლოდ გერმანიაშია ცნობილი, სადაც ბაიერნმა რამდენიმე ტურით ადრე ირგუნა კუთვნილი ვერცხლის სინი. თუმცა, გერმანიაშიც და სხვა ქვეყნებში გასარკვევი ბევრი რამ არის და საინტერესო ბრძოლებია მოსალოდნელი.**
**პირველ რიგში გამოვყოფდით ინგლისში გასამართ მატჩს არსენალი-მანჩესტერი და იტალიაში 2 საინტერესო შეხვედრას: მილანი-რომა და ტურინული დერბი – იუვენტუსი-ტორინო.**




## ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.05 სიტი-კრ.პალასი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 06.05 ბორნმუთი-სტოკი | 2.15 | 3.5 | 3.2 |
| 06.05 ლესტერი-უოტფორდი | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 06.05 ბარნლი-ვესტბრომვიჩი | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 06.05 ჰალი-სანდერლენდი | 1.44 | 4.33 | 7.5 |
| 06.05 სუონსი-ევერტონი | 2.62 | 3.4 | 2.6 |
| 07.05 ლივერპული-საუთჰემპტონი | 1.57 | 3.8 | 6.0 |
| 07.05 არსენალი-მანჩესტერი | 1.91 | 3.6 | 3.75 |
| 08.05 ჩელსი-მიდლსბრო | 1.15 | 7.5 | 17.0 |

**სიტი-კრ.პალასი**
სიტი: ***ტრავმ-***კლაუდიო ბრავო, ილკაი გუნდოგანი
კრ.პალასი: ***ტრავმ-***მამადუ სახო, სკოტ დანი, ჯეიმს ტომკინსი, კონორ უიკჰემი, პაპე სუარე

**ბორნმუთი-სტოკი**
ბორნმუთი: ***ტრავმ-***ჯეკ უილშირი, ენდრიუ სარმანი, ადამ ფედერრეკი, კალუმ უილსონი
სტოკი: ***ტრავმ-***იბრაჰიმ აფელაი

**ლესტერი-უოტფორდი**
ლესტერი: ***ტრავმ-***ნამპალის მენდი
უოტფორდი: ***ტრავმ-***იუნის კაბული, ბენ უოტსონი, მაურო ზარატე, რობერტო პერეირა

**ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი**
ბარნლი: ***ტრავმ-***არავინ
ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ-***მეტიუ ფილიპსი, ჰალ რობსონ-კანუ

**ჰალი-სანდერლენდი**
ჰალი: ***ტრავმ-***დევიდ მეილერი, რაიან მეისონი, უილიამ კეინი, მოსეს ოდუბაჯო
სანდერლენდი: ***ტრავმ-***ბრაიან ოვიედო, იან კირჰოფი, დანკან უიტმორი, პადი მაკნაირი

**სუონსი-ევერტონი**
სუონსი: ***ტრავმ-***ანგელ რანგელი, ნათან დაიერი
ევერტონი: ***ტრავმ-***აარონ ლენონი, რამირო მორი, სიმუს კულემანი, ჯეიმს მაკკარტნი, იანიკ ბოლასიე

**ლივერპული-საუთჰემპტონი**
ლივერპული: ***ტრავმ-***სადიო მანე, ჯორდან ჰენდერსონი, ოვიე ეჯარია
საუთჰემპტონი: ***ტრავმ-***ვირჯილ ვან დიიკი, ჩარლი ოსტინი, მატ ტარგეტი

**არსენალი-მანჩესტერი**
არსენალი: ***ტრავმ-***შკოდრან მუსტაფი, სანტი კაზორლა
მანჩესტერი: ***ტრავმ-***მარკოს როხო, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ხუან მატა, კრის სმოლინგი, ფილ ჯონსი

**ჩელსი-მიდლსბრო**
ჩელსი: ***ტრავმ-***არავინ
მიდლსბრო: ***ტრავმ-***ვიქტორ ვალდესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 34 | 26 | 3 | 5 | 72-29 | 81 |
| 2.ტოტენჰემი | 34 | 23 | 8 | 3 | 71-22 | 77 |
| 3.ლივერპული | 35 | 20 | 9 | 6 | 71-42 | 69 |
| 4.სიტი | 34 | 19 | 9 | 6 | 65-37 | 66 |
| 5.მანჩესტერი | 34 | 17 | 14 | 3 | 51-25 | 65 |
| 6.არსენალი | 33 | 18 | 6 | 9 | 64-42 | 60 |
| 7.ევერტონი | 35 | 16 | 10 | 9 | 60-40 | 58 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 34 | 12 | 8 | 14 | 39-43 | 44 |
| 9.საუთჰემპტონი | 33 | 11 | 8 | 14 | 39-44 | 41 |
| 10.ბორნმუთი | 35 | 11 | 8 | 16 | 50-63 | 41 |
| 11.ლესტერი | 34 | 11 | 7 | 16 | 42-54 | 40 |
| 12.სტოკი | 35 | 10 | 10 | 15 | 37-50 | 40 |
| 13.უოტფორდი | 34 | 11 | 7 | 16 | 37-55 | 40 |
| 14.ბარნლი | 35 | 11 | 6 | 18 | 35-49 | 39 |
| 15.ვესტ ჰემი | 35 | 10 | 9 | 16 | 44-59 | 39 |
| 16.კრ.პალასი | 35 | 11 | 5 | 19 | 46-56 | 38 |
| 17.ჰალი | 35 | 9 | 7 | 19 | 36-67 | 34 |
| 18.სუონსი | 35 | 9 | 5 | 21 | 40-69 | 32 |
| 19.მიდლსბრო | 35 | 5 | 13 | 17 | 26-45 | 28 |
| 20.სანდერლენდი | 34 | 5 | 6 | 23 | 26-60 | 21 |

## ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.05 ხიხონი-ლას პალმასი | 1.53 | 4.6 | 5.0 |
| 06.05 ატლეტიკო-ეიბარი | 1.3 | 5.0 | 11.0 |
| 06.05 ბარსელონა-ვილიარეალი | 1.17 | 8.0 | 13.0 |
| 06.05 გრანადა-რეალი | 15.0 | 9.5 | 1.12 |
| 07.05 ალავესი-ბილბაო | 4.8 | 3.6 | 1.75 |
| 07.05 ვალენსია-ოსასუნა | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 07.05 დეპორტივო-ესპანიოლი | 2.05 | 3.25 | 3.8 |
| 07.05 მალაგა-სელტა | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 08.05 ლეგანესი-ბეტისი | 1.67 | 3.6 | 5.5 |

**ხიხონი-ლას პალმასი**
ხიხონი: ***ტრავმ-***არავინ
ლას პალმასი: ***ტრავმ-***ჯონათან ვიერა, ხოსე ვისენტე გომესი

**ატლეტიკო-ეიბარი**
ატლეტიკო: ***ტრავმ-***ხუანფრანი, სიმე ვრსალკო, აუგუსტო ფერნანდესი
ეიბარი: ***ტრავმ-***ბებე, ანტონიო ლუნა, ფრან რიკო

**ბარსელონა-ვილიარეალი**
ბარსელონა: ***ტრავმ-***ანდრეს ინიესტა, რაფინია, ალექსის ვიდალი
ვილიარეალი: ***ტრავმ-***დენის ჩერიშევი, სერხიო ასენხო

**გრანადა-რეალი**
გრანადა: ***ტრავმ-***ფრანკ ტაბანუ, მეტიუ სუნიე
რეალი: ***ტრავმ-***გარეთ ბეილი, ფაბიო კოენტრაუ, პეპე

**ალავესი-ბილბაო**
ალავესი: ***ტრავმ-***ვიქტორი
ბილბაო: ***ტრავმ-***არავინ

**ვალენსია-ოსასუნა**
ვალენსია: ***ტრავმ-***ენცო პერესი, მარიო სუარესი, აიმენ აბდენური
ოსასუნა: ***ტრავმ-***ნიკოლა ვუიადინოვიჩი, იმანოლ გარსია, ორიოლ რიერა, დავიდ გარსია, ემანუელ რივიერე, რაულ ლეო, უნაი გარსია, ტანო ბონინი, მიგელ ფლანო, დიდიე დიუგარი

**დეპორტივო-ესპანიოლი**
დეპორტივო: ***ტრავმ-***ხოსელუ, სიდნეი, პედრო მოსკერა
ესპანიოლი: ***ტრავმ-***ოსკარ დუარტე

**მალაგა-სელტა**
მალაგა: ***ტრავმ-***ადალბერტო პენარანდა, ხუანპი, ბაქარი კონე, ზდრავკო კუზმანოვიჩი
სელტა: ***ტრავმ-***კარლეს პლანასი, ჯუზეპე როსი, რუბენ ბლანკო

**ლეგანესი-ბეტისი**
ლეგანესი: ***ტრავმ-***ომარ რამოსი, ჯონ სერანტესი, რობერტო იბანიესი
ბეტისი: ***ტრავმ-***იონას მარტინი, ანტონიო სანაბრია, კრისტიანო პიცინი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 35 | 25 | 6 | 4 | 104-33 | 81 |
| 2.რეალი | 34 | 25 | 6 | 3 | 92-39 | 81 |
| 3.ატლეტიკო | 35 | 21 | 8 | 6 | 65-25 | 71 |
| 4.სევილია | 35 | 20 | 8 | 7 | 62-44 | 68 |
| 5.ვილიარეალი | 35 | 18 | 9 | 8 | 52-28 | 63 |
| 6.ბილბაო | 35 | 19 | 5 | 11 | 51-38 | 62 |
| 7.სოსიედადი | 35 | 19 | 4 | 12 | 54-48 | 61 |
| 8.ეიბარი | 35 | 15 | 9 | 11 | 54-45 | 54 |
| 9.ესპანიოლი | 35 | 13 | 11 | 11 | 45-47 | 50 |
| 10.ალავესი | 35 | 12 | 12 | 11 | 36-41 | 48 |
| 11.სელტა | 34 | 13 | 5 | 16 | 49-57 | 44 |
| 12.მალაგა | 35 | 11 | 9 | 15 | 44-51 | 42 |
| 13.ვალენსია | 35 | 11 | 7 | 17 | 50-61 | 40 |
| 14.ლას პალმასი | 35 | 10 | 9 | 16 | 52-66 | 39 |
| 15.ბეტისი | 35 | 10 | 7 | 18 | 38-57 | 37 |
| 16.დეპორტივო | 35 | 7 | 11 | 17 | 39-59 | 32 |
| 17.ლეგანესი | 35 | 7 | 9 | 19 | 30-53 | 30 |
| 18.ხიხონი | 35 | 5 | 9 | 21 | 38-70 | 24 |
| 19.გრანადა | 35 | 4 | 8 | 23 | 28-74 | 20 |
| 20.ოსასუნა | 35 | 3 | 10 | 22 | 37-84 | 19 |

## გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.05 ბაიერნი-დარმშტადი | 1.07 | 13.0 | 2.60 |
| 06.05 დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი | 1.5 | 4.8 | 5.5 |
| 06.05 ინგოლშტადი-ლევერკუზენი | 2.4 | 3.6 | 2.75 |
| 06.05 გლადბახი-აუგსბურგი | 1.73 | 3.8 | 4.6 |
| 06.05 აინტრახტი-ვოლფსბურგი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 06.05 ჰერტა-ლაიპციგი | 3.4 | 3.3 | 2.15 |
| 07.05 ჰამბურგი-მაინცი | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 07.05 ფრაიბურგი-შალკე | 3.25 | 3.5 | 2.15 |

**ბაიერნი-დარმშტადი**
ბაიერნი: ***ტრავმ-***მანუელ ნოიერი
დარმშტადი: ***ტრავმ-***ტერენსე ბოიდი, პიტერ ნიმეიერი

**დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი**
დორტმუნდი: ***ტრავმ-***სებასტიან როდე, ნური შაჰინი, ანდრე შურლე, მარკ ბარტრა, მარიო გიოტცე
ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ-***არავინ

**ინგოლშტადი-ლევერკუზენი**
ინგოლშტადი: ***ტრავმ-***ტობიას ლეველსი, მორიტც ჰარტმანი
ლევერკუზენი: ***ტრავმ-***ლარს ბენდერი, ჰაკან ჩალანოღლუ

**გლადბახი-აუგსბურგი**
გლადბახი: ***ტრავმ-***იოსიპ დრმიჩი, ოსკარ ვენდტი, ტორგან აზარი, რაფაელი, ტონი იანჩკე, ფაბიან ჯონსონი, კრისტოფ კრამერი, ნიკო შულცი
აუგსბურგი: ***ტრავმ-***კოო ჯა-ჩეოლი, იან მორავეკი, კაიბუ

**აინტრახტი-ვოლფსბურგი**
აინტრახტი: ***ტრავმ-***მარიუს ვოლფი, ომარ მასკარელი, ჟესუს ვალიეხო, ალექსანდერ მეიერი, მაკოტო ჰასებე
ვოლფსბურგი: ***ტრავმ-***ბორხა მაიორალი, იუნის მალი, ჯუსტინ მობიუსი, ჯეფრი ბრუმა

**ჰერტა-ლაიპციგი**
ჰერტა: ***ტრავმ-***მარვინ პლატენჰარტი, ჯონ ბრუკსი, მიჩელ ვეიზერი, ფაბიან ლუშტენბერგერი, ჯულიან შიბერი, სინან კურტი
ლაიპციგი: ***ტრავმ-***ლუკას კლოსტერმანი

**ჰამბურგი-მაინცი**
ჰამბურგი: ***ტრავმ-***კრისტიან მატენია, ალბინ ეკდალი, ნიკოლა მიულერი, რენე ადლერი
მაინცი: ***ტრავმ-***გერიტ ჰოლტმანი, ჯაირო სამპერიო, გაეტან ბუშმანი

**ფრაიბურგი-შალკე**
ფრაიბურგი: ***ტრავმ-***მარკ ტორეხონი, ვიჩენცო გრიფო
შალკე: ***ტრავმ-***მატია ნასტასიჩი, მაქსიმ ჩუპო-მოტინგი, ნალდო, ბაბა რაჰმანი, ბრეელ ემბოლო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 31 | 22 | 7 | 2 | 79-17 | 73 |
| 2.ლაიპციგი | 31 | 19 | 6 | 6 | 56-31 | 63 |
| 3.დორტმუნდი | 31 | 16 | 9 | 6 | 65-35 | 57 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 30 | 14 | 13 | 3 | 57-32 | 55 |
| 5.ჰერტა | 31 | 14 | 4 | 13 | 38-37 | 46 |
| 6.ვერდერი | 31 | 13 | 6 | 12 | 52-51 | 45 |
| 7.ფრაიბურგი | 31 | 13 | 5 | 13 | 38-55 | 44 |
| 8.კიოლნი | 31 | 10 | 12 | 9 | 43-37 | 42 |
| 9.გლადბახი | 31 | 12 | 6 | 13 | 41-45 | 42 |
| 10.შალკე | 31 | 11 | 8 | 12 | 43-36 | 41 |
| 11.აინტრახტი | 30 | 11 | 8 | 11 | 32-34 | 41 |
| 12.ლევერკუზენი | 31 | 10 | 6 | 15 | 44-50 | 36 |
| 13.მაინცი | 31 | 9 | 6 | 16 | 40-51 | 33 |
| 14.ვოლფსბურგი | 31 | 9 | 6 | 16 | 30-49 | 33 |
| 15.ჰამბურგი | 30 | 9 | 6 | 15 | 30-55 | 33 |
| 16.აუგსბურგი | 30 | 8 | 8 | 14 | 29-49 | 32 |
| 17.ინგოლშტადტი | 31 | 8 | 5 | 18 | 33-54 | 29 |
| 18.დარმშტადტი | 31 | 7 | 3 | 21 | 26-58 | 24 |

## იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.05 ნაპოლი-კალიარი | 1.14 | 8.5 | 15.0 |
| 06.05 იუვენტუსი-ტორინო | 1.5 | 4.5 | 6.0 |
| 07.05 უდინეზე-ატალანტა | 4.4 | 3.8 | 1.75 |
| 07.05 ლაციო-სამპდორია | 1.25 | 6.5 | 9.5 |
| 07.05 ჯენოა-ინტერი | 4.75 | 4.0 | 1.67 |
| 07.05 სასუოლო-ფიორენტინა | 3.1 | 3.5 | 2.2 |
| 07.05 ემპოლი-ბოლონია | 1.67 | 3.8 | 5.0 |
| 07.05 პესკარა-კროტონე | 5.0 | 4.33 | 1.57 |
| 07.05 კიევო-პალერმო | 1.61 | 4.0 | 5.0 |
| 08.05 მილანი-რომა | 3.25 | 3.8 | 2.05 |

**ნაპოლი-კალიარი**
ნაპოლი: ***ტრავმ-***არავინ
კალიარი: ***ტრავმ-***ლუკა ჯეპიტელი, დანიელე დესენა, ფედერიკო მელხიორი

**იუვენტუსი-ტორინო**
იუვენტუსი: ***ტრავმ-***დანიელე რუგანი, მარკო პიაცა
ტორინო: ***ტრავმ-***ლორენცო დე სილვესტრი

**უდინეზე-ატალანტა**
უდინეზე: ***ტრავმ-***სამირი, სეკო ფოფანა, ასანე გნუკური, დავიდე ფარაონი
ატალანტა: ***ტრავმ-***ერვინ ზუკანოვიჩი, ბაქარი დრამე

**ლაციო-სამპდორია**
ლაციო: ***ტრავმ-***ფედერიკო მარკეტი
სამპდორია: ***ტრავმ-***ედგარ ბარეტო, ემილიანო ვივიანო, ჯაკოპო სალა, ლუის მურიელი

**ჯენოა-ინტერი**
ჯენოა: ***ტრავმ-***რუბინიო, არმანდო იზო, მატია პერინი
ინტერი: ***ტრავმ-***კრისტიან ანსალდი

**სასუოლო-ფიორენტინა**
სასუოლო: ***ტრავმ-***ლორენცო პელეგრინი, ალბერტო რომინი, მარსელო გაზოლა
ფიორენტინა: ***ტრავმ-***ნენად ტომოვიჩი

**ემპოლი-ბოლონია**
ემპოლი: ***ტრავმ-***ლევან მჭედლიძე, უროს კოსიჩი
ბოლონია: ***ტრავმ-***ფედერიკო დი ფრანჩესკო, ადამ ნაგი, ლუკა რიცო, ფილიპ ელანდერი

**პესკარა-კროტონე**
პესკარა: ***ტრავმ-***გულიელმო სტენდარდო, დავიდე ვიტურინი, სიმონე პეპე
კროტონე: ***ტრავმ-***არავინ

**კიევო-პალერმო**
კიევო: ***ტრავმ-***რიკარდო მეჯორინი, ფაბრიციო კაჩიატორე, ნიკოლა რიგონი
პალერმო: ***ტრავმ-***სლობოდან რაიკოვიჩი, კარლოს ემბალო

**მილანი-რომა**
მილანი: ***ტრავმ-***ლუკა ანტონელი, იგნასიო აბატე, ჯაკომო ბონავენტურა
რომა: ***ტრავმ-***ალესანდრო ფლორენცი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 34 | 27 | 3 | 4 | 70-22 | 84 |
| 2.რომა | 33 | 24 | 3 | 6 | 74-28 | 75 |
| 3.ნაპოლი | 33 | 21 | 8 | 4 | 77-35 | 71 |
| 4.ლაციო | 33 | 19 | 7 | 7 | 60-38 | 64 |
| 5.ატალანტა | 34 | 19 | 7 | 8 | 58-39 | 64 |
| 6.მილანი | 33 | 17 | 7 | 9 | 50-37 | 58 |
| 7.ინტერი | 33 | 17 | 5 | 11 | 63-42 | 56 |
| 8.ფიორენტინა | 33 | 15 | 10 | 8 | 55-45 | 55 |
| 9.ტორინო | 34 | 12 | 13 | 9 | 64-55 | 49 |
| 10.სამპდორია | 34 | 12 | 10 | 12 | 42-42 | 46 |
| 11.უდინეზე | 33 | 12 | 7 | 14 | 43-44 | 43 |
| 12.კალიარი | 33 | 11 | 5 | 17 | 46-64 | 38 |
| 13.კიევო | 33 | 11 | 5 | 17 | 36-52 | 38 |
| 14.სასუოლო | 33 | 10 | 6 | 17 | 42-52 | 36 |
| 15.ბოლონია | 33 | 9 | 8 | 16 | 31-49 | 35 |
| 16.ჯენოა | 33 | 7 | 9 | 17 | 32-57 | 30 |
| 17.ემპოლი | 33 | 7 | 8 | 18 | 22-51 | 29 |
| 18.კროტონე | 33 | 6 | 6 | 21 | 28-53 | 24 |
| 19.პალერმო | 33 | 3 | 7 | 23 | 27-73 | 16 |
| 20.პესკარა | 33 | 2 | 8 | 23 | 32-74 | 14 |

## საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.05 პსჟ-ბასტია | 1.1 | 9.0 | 21.0 |
| 06.05 ნანსი-მონაკო | 6.5 | 4.2 | 1.5 |
| 06.05 ტულუზა-კაენი | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 06.05 ლორიანი-ანჟე | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 06.05 გენგამი-დიჟონი | 2.05 | 3.6 | 3.4 |
| 06.05 ლილი-მეცი | 1.7 | 3.8 | 4.8 |
| 07.05 რენი-მონპელიე | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 07.05 ლიონი-ნანტი | 1.73 | 4.0 | 4.33 |
| 07.05 მარსელი-ნიცა | 1.95 | 3.75 | 3.6 |

**პსჟ-ბასტია**
პსჟ: ***ტრავმ-***ლავინ კურზავა, ჰატემ ბენ არფა, ტიაგო სილვა
ბასტია: ***ტრავმ-***აბდელ ელ კუტარი, ფლორიან მარანგე, სებასტიან სკილაჩი

**ნანსი-მონაკო**
ნანსი: ***ტრავმ-***არავინ
მონაკო: ***ტრავმ-***ჯიბრილ სიდიბე, ბოშილია, გვიდო კარილო

**ტულუზა-კაენი**
ტულუზა: ***ტრავმ-***კლემენტ მიჩელინი, დუშან ვეშკოვაჩი
კაენი: ***ტრავმ-***მუჰამადუ დაბო

**ლორიანი-ანჟე**
ლორიანი: ***ტრავმ-***ჯერემი ალადიერი, ვალიდ მესლობი
ანჟე: ***ტრავმ-***იოან ენდრიუ, ბილი კეტკეოპომპონე

**გენგამი-დიჟონი**
გენგამი: ***ტრავმ-***არავინ
დიჟონი: ***ტრავმ-***არავინ

**ლილი-მეცი**
ლილი: ***ტრავმ-***ვინსენტ ენიემა, ადამა სომარო
მეცი: ***ტრავმ-***მეტიუ უდოლი

**რენი-მონპელიე**
რენი: ***ტრავმ-***იორის გნანონი, მორგან ამალფიტანო
მონპელიე: ***ტრავმ-***ვილიამ რემი, იორის მარვო, კაზიმირ ნინგა

**ლიონი-ნანტი**
ლიონი: ***ტრავმ-***ემანუელ მამანა, ალექსანდერ ლაკაზეტი, მაცეი რიბუსი
ნანტი: ***ტრავმ-***არავინ

**მარსელი-ნიცა**
მარსელი: ***ტრავმ-***აბუ დიაბი
ნიცა: ***ტრავმ-***ვილან ჩიპრიენი, ალასანე პლეა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 34 | 26 | 5 | 3 | 95-29 | 83 |
| 2.პსჟ | 34 | 25 | 5 | 4 | 71-23 | 80 |
| 3.ნიცა | 34 | 21 | 11 | 2 | 56-28 | 74 |
| 4.ლიონი | 34 | 18 | 3 | 13 | 68-42 | 57 |
| 5.ბორდო | 34 | 15 | 10 | 9 | 49-39 | 55 |
| 6.მარსელი | 34 | 14 | 10 | 10 | 48-38 | 52 |
| 7.სტ.ეტიენი | 34 | 12 | 13 | 9 | 38-30 | 49 |
| 8.ნანტი | 35 | 13 | 9 | 13 | 34-47 | 48 |
| 9.რენი | 35 | 10 | 14 | 11 | 32-39 | 44 |
| 10.გენგამი | 35 | 12 | 8 | 15 | 40-49 | 44 |
| 11.ლილი | 35 | 12 | 7 | 16 | 37-41 | 43 |
| 12.ტულუზა | 35 | 10 | 12 | 13 | 36-39 | 42 |
| 13.მონპელიე | 35 | 10 | 9 | 16 | 47-60 | 39 |
| 14.ანჟე | 35 | 11 | 6 | 18 | 35-48 | 39 |
| 15.მეცი | 35 | 10 | 9 | 16 | 36-70 | 39 |
| 16.ლორიანი | 35 | 10 | 4 | 21 | 42-66 | 34 |
| 17.კაენი | 34 | 9 | 6 | 19 | 33-58 | 33 |
| 18.დიჟონი | 34 | 7 | 11 | 16 | 44-54 | 32 |
| 19.ნანსი | 35 | 8 | 8 | 19 | 26-46 | 32 |
| 20.ბასტია | 34 | 7 | 10 | 17 | 27-48 | 31 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# TV პროგრამა

## ორშაბათი 8 მაისი

07.00 დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" 08.00 "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" 09.00 "მოამბე დილას" 10.00 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ტელემანი" 12.45 "კაცების დრო" 13.50 "გურმანია" 14.20 "წიგნების თარო" 15.00, 03.00 "C სტუდია" 16.15 "ეკონომეტრი" 16.30 "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" 17.00, 04.00 "რეალური სივრცე" 18.30 "ხანმოკლე XX საუკუნე" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 ტ/სერ. "ველვეტი" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" 23.20 მხ/ფ "თარჯიმანი" (შ.პენი) 01.25 მხ/ფ "მასობრივი მიმზიდველობა" (ჯ.ლემონი)

08.00 დოკ/ფ "ყალმუხეთის ბუდისტი ბერები" 09.00 დოკ/ფ "ღვინო და მეცნიერება" 10.00 დოკ/ფ "მარი კიური" 11.00 დოკ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 12.00 დოკ/ფ "ნამდვილი პანამა" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.00 დოკ/ფ "კატასტროფა ანდებში" 15.00, 18.00, 20.40 "ზრიფინგის დრო" 17.00 დოკ/ფ "კატასტროფა ანდებში" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. "ჩიკაგოს პოლიცია" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 მხ/ფ "ახალგაზრდა ამერიკელები"

05.50, 14.40 სერ. "ელიფი" 07.30 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30 ქრონიკა 08.20, 09.20 იმედის დილა (გაგრძელება) 10.05 სერ. "პატარძალი" 11.20 სერ. "ფიცი" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "სტამბოლის ორი სახე" 18.45, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 20.55 სერ. "ნამსხვრევები" 22.30 მხ/ფ "ოპერაცია დელტა" 01.15 მხ/ფ "აბა" დამიჭირე" 03.45 მხ/ფ "მოგზაურობა ამერიკაში"

06.00, 18.30 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 06.45 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "ყველაზე ლამაზი" 15.30 სერ. "ინდური საგა" 16.55 სერ. "დაკარგული წლები" 19.57 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 22.00 X-ფაქტორი ქართ.მხ/ფ "სიმართლის სიმფონია"

08.00 ან/სერ. ფანბოი და ჩამ-ჩამი 09.00, 13.00 სერ. "აღქმა" 11.00, 17.00 სერ. "კრიმინალური აზროვნება" 15.00 სერ. "ანტიმაფია" 19.00 სერ. "გაბოროტებული" 21.00 სერ. "ანგარიშსწორება" 22.30 მხ/ფ "დასაწყისი" 01.20 მხ/ფ "გრავიტაცია" 03.05 მხ/ფ "არგო"

